საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 თებერვალი, 2015 წელი.

№20 (7665)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეული ლებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქმნა მართლისა, სამართლისა...

ჩვენ პრაქტიკულად ყველა გახმაურებული საქმე გამოვიძიეთ

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ზურაბ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების საკითხზე კომენტირებისას განუცხადა. მისივე განმარტებით, რამდენიმე საქმე იყო გამოსაძიებელი და ერთ-ერთი სწორედ აღნიშნულ საქმეს შეეხებოდა.

„რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ შეფასებას, შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ სათავეში მოსვლის შემდეგ პრაქტიკულად ყველა გახმაურებული საქმე გამოვიძიეთ, დარჩენილი იყო რამდენიმე საქმე, ეს გახლდათ ერთ-ერთი მათგანი. სამწუხაროდ, მძიმე მემკვიდრეობა გვერგო და მათი გამოძიება იყო აუცილებელი. ბევრი საქმის გამოძიება მთავრდება, რჩება ერთ-ორი გახმაურებული საქმე, რომელიც გამოძიების პროცესშია და ძალიან მალე დასრულდება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პროკურატურამ ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა

4

მთავრობა მობილიზებულია, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ღირსეულად ჩავატაროთ

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

„ჩვენ წელს გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება — ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი და მთელი მთავრობა მობილიზებულია იმისთვის, რომ ის ღირსეულად ჩავატაროთ. შენდება მნიშვნელოვანი ობიექტები, რომელსაც შემდეგ ჩვენი ახალგაზრდები გამოიყენებენ. იქმნება პრაქტიკულად ახალი უბანი, რომელსაც პირობითად დავარქვით „ახალი თბილისი“. სამუშაოები მარტიდან საგანგებო რეჟიმში გაგრძელდება, იმისთვის, რომ მაისის ბოლოს ყველა ობიექტი იყოს დასრულებული“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, „თბილისი 2015“-ისთვის განკუთვნილი მშენებარე ობიექტები — ოლიმპიური სოფელი, „ახალი თბილისი“, ახალი სპორტის სასახლე დაათვალიერა.

მთავრობის მეთაური მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და ობიექტების დასრულების შესახებ ინფორმაცია მიიღო. პრემიერს დაჰპირდნენ, რომ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა მაისში დასრულდება.

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს თბილისი 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე უმასპინძლებს. საქართველოს 4000-მდე სპორტსმენი და 7000-ზე მეტი ოფიციალური სტუმარი ეწვევა.

კახა ლომაია — ნაცისტების სახე

3

რატომ არ უნდოდა სააკაშვილს ცხინვალიდან ქართველი სამხედროების ცხედრების გამოტანა?

გელა დუმბაძე: ჩვენი ოპონენტები კარგად მუშაობენ იქ, სადაც მოვისუსტებთ

3

ნანა დევდარიანი: ვნახოთ, რა იქნება თებერვალში? რამ ეფაშვილთა არასამთავრობო სექტორი? „მაესტრო“ — კანდელაკის წინააღმდეგ

2

მარადიული ლეგენდა ქართული ფეხბურთის მეფე

ბორის პაიჭაძე — 100



7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

რაზე შეაშფოთა არასამთავრობო სექტორი?

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის გაუგებარია, რატომ მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის მიერ ნინო ლომჯარიას, კახა კოჟორიძისა და ეკა გიგაურის კრიტიკას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეშფოთება.

„ბატონმა ბიძინამ ერთი წლის წინათ განაცხადა, რომ გადადიოდა არასამთავრობო სექტორში და გადავიდა კიდეც. მას აქვს დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე„. რატომ მოჰყვა მის განცხადებას ასეთი შეშფოთება დანარჩენი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი და აუხსნელია. თუ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აკრიტიკებს მეორეს ან უბრალოდ აზრს გამოთქვამს მასზე, რატომ უნდა იყოს ეს გაკვირვების საგანი, ვერ ვხდები. ყველას გვაქვს სრული უფლება, ერთმანეთზე გამოვთქვათ ჩვენი აზრი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის გამარტებით, ხშირად ისმენს მთავრობის კრიტიკას, მაგრამ გაგებით ეკიდება, რადგან აღნიშნულს ნორმალურ პროცესად მიიჩნევს.

„ჩვენ საქართველოში უზრუნველვყავით სრული დემოკრატია. ყველა ადამიანის, ყველა ორგანიზაციის სიტყვის თავისუფლება არის დაცული და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, მომწონს თუ არა მედიის თუ არასამთავრობო სექტორის მხრიდან მთავრობაზე გაკეთებული რაიმე განცხადება, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სიტყვის თავისუფლება იქნას გარინტირებულად დაცული. დასრულდა ის დრო, როცა ამ კუთხით არავითარი გარანტიები არ არსებობდა. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის ჯანსაღი პროცესი. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ჩვეულებრივი დისკუსია და პაექრობა, რაც ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი“, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

„მაესტრო“ — კანდელაკის წინააღმდეგ

ტელეკომპანია „მაესტრო“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის გიორგი კანდელაკის ევროსაბჭოში 29 იანვრის გამოსვლას ეხმაურება.

როგორც „მაესტროს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია საუბარი, კანდელაკის გამოსვლაში საუბარია მედიის თავისუფლების შესახებ, სადაც კანდელაკმა განაცხადა, რომ გასული წლის 22 დეკემბერს „მაესტრო“ თანამშრომელთა ნაწილმა იმ მოტივით დატოვა, თითქოს „მაესტროს„ სარედაქციო დამოუკიდებლობაში რეგულარულად ერეოდა მთავრობის კანცელარიის წარმომადგენელი. ტელეკომპანია „მაესტროს“ განცხადებაში წერია, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის განცხადება ტყუილია.

„ტელეკომპანია „მაესტრო“ აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის ტყუილი. მოუწოდებს ყველა პოლიტიკოსს, ნუ გამოიყენებენ მედიაში მიმდინარე პროცესებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესისთვის. ტელეკომპანია „მაესტრო“ მზად არის, დაინტერესების შემთხვევაში ითანამშრომლოს ევროსაბჭოსთან, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მიაწოდოს მათ ზუსტი ინფორმაცია მედიაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ტელეკომპანია „მაესტრო“ იმედოვნებს, რომ ევროსაბჭო დასკვნებს მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით არ გამოიტანს. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის გამოსვლას „მაესტროს“ საინფორმაციო მიმართულების უკვე ყოფილი ხელმძღვანელიც გაემიჯნა“, – ნათქვამია ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მინისტრი სართიჭალის სატყეო სანერგე მეურნეობას ესტუმრა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი სართიჭალის სატყეო სანერგე მეურნეობას ესტუმრა და ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. სანერგე მეურნეობაში შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემისა და გარე პერიმეტრის აღდგენა მიმდინარეობს.

სანერგეში გამოყვანილი წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის სატყეო სახეობებით (კავკასიური ფიჭვი, მინდვრის ნეკერჩხალი, იფანი, ფშატი) გაზაფხულზე, ბორჯომში, დაბა ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად განადგურებული ტყის მასივის აღდგენა გაგრძელდება.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სანერგე მეურნეობა აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიის მანქანა-დანადგარებით, სადაც ხდება გირჩისა და თესლის გადამუშავება, დახარისხება და შემდგომ მისი დათესვა როგორც ღია გრუნტში ასევე სასათბურე მეურნეობაში კონტეინერული ნერგის წარმოებისთვის.

◎ კონფერენცია მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

იქ, სადაც სიყვარულია, ღმერთია.

თუ პირიქით, იქ სადაც ღმერთია, სიყვარულია...

რა არის რელიგიის არსი? – სიყვარული და ჰარმონია დედამიწაზე!

თუმცა, კაცობრიობა უშედეგოდ იბრძვის ამ ერთობ მარტივი მიზნის მისაღწევად. ომები, დაპირისპირება, შუღლი, რელიგიური კონფენსიების უპატივცემლობა და სხვა ამდაგვარი მანკიერებანი, თრგუნავენ ადამიანს და ადამიანობის არსს აკნინებენ, მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, რომ სწორედ ადამიანებივე ქმნიან ამ ორპირ ქარებს და ქარსვე ატანენ იმ ჭეშმარიტებას, რასაც უფლის სიყვარული ჰქვია.

ამგვარ თემებზე კიდევ ერთხელ დამაფიქრა საერთაშორისო სემინარმა **„ბიბლიური ფასეულობანი და თანამედროვეობა“,** რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა. კონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომელმაც კიდევ ერთხელ წინ წამოსწია ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიცაა რელიგია და დღევანდელობა.

ბიბლიური ფასეულობანი და თანამედროვეობა

სემინარზე წარმოდგენილი იყო საკმაოდ საინტერესო და საჭირბოროტო საკითხები. მოხსენება „თავისუფლება – ბიბლიური და სეკულარული ხედვა“ – პროფესორმა, დოქტორმა თ. ბუაძემ წარმოადგინა.„აგრესიული ათეიზმის წინააღმდეგ“ თემა პროფესორმა, დოქტორმა კლაუს ბიომერმა მოამზადა. „ბიზნესი და ქრისტიანული სარწმუნოება – დაპირისპირებული ცნებებია?“ – ამ კითხვის ამოხსნა პროფესორმა, დოქტორმა რანჰარდ ჰაუპტმა შეძლო.

იყო სხვა თემებიც „შრომის კულტურა – ბიბლიური და თანამედროვე ხედვა“ – გ. გვასალია; „მეცნიერება – სარწმუნოების დამცველი და პირიქით“ – პროფესორი, დოქტორი კლაუს ბიომერი; „ქრისტიანობა და აღორძინების ეპოქის ღირებულებანი“ – დოქტორი ე. გედევანიშვილი; „ოჯახის შესახებ შეხედულებათა ცვლილებანი ბიბლიურიდან თანამედროვემდე (ბიოეთიკური განზომილება); „7 ბიბლიური ღირებულება, რამაც დასავლეთს მოუპოვა თავისუფლება, კეთილდღეობა და სამართლიანობა“ – პროფესორი, დოქტორი ჰანს იოახიმ ჰაანი.

სემინარიის მონაწილეებმა იმდენად ღრმად და გასაგებად წაიკითხეს მოხსენებები, ისე კარგად განმარტეს მათეული მოსაზრებები, რომ მათზე დეტალურად საუბარი შორს წაგვიყვანდა. თუმცა, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე მინდა, ძალიან მოკლედ შემოგთავაზოთ **არქიმანდრიტ მამა ადამ ახალაძის** შეხედულებები სუროგატულ ოჯახთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს არის საკითხი, რომელიც ვფიქრობ, კიდევ დიდხანს დარჩება სადავოდ ეკლესიასა და მეცნიერებას შორის.

სუროგაციის დამკვიდრება ბიოტექნოლოგიურმა და გენურმა მედიცინამ განაპირობა. საქართველოში არიან ოჯახები, რომლებიც სხვა დედას აშობინებენ ოჯახის მემკვიდრეს, ვისშიც მშობლების გენი ბუნებრივად აგრძელებს არსებობას. მეტიც, შეიძლება გაჩნდეს ბავშვი, ვისი დედა ან მამა, ან სულაც ორივე 15-20 წლის გარდაცვლილია, მაგრამ მათი გენი ახალ სიცოცხლეში აგრძელებს განვითარებას. მაგრამ რისთვის არის ეს ყველაფერი საჭირო, ან რა შედეგს მოუტანს კაცობრიობას, მეცნიერებს ამაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა არ შეუძლიათ.

„სუროგაცია რომ გაემართლებინათ, შემოიღეს ტრადიციული სუროგაციის ცნება, – ამბობს მამა ადამი, **– დასაყრდენს ბიბლიაში პოულობენ, სარასა და აბრაამს ჰყავდათ ასეთი შვილიო. ეს არის პროპაგანდა, რადგან სინამდვილეში სულ სხვა აზრია ჩადებული ბიბლიაში ასახულ ამ ფაქტში. სარას ეს განზრახვა ადამიანის სისუსტედ არის მიჩნეული და ღვთის ნების გამოვლინების წინააღმდეგ არის მიმართული“.**

ბუნებრივია, ეკლესია ვერასოდეს შეეგუება ღვთის ნების, ბუნებრივი საწყისის უგულვებელყოფას. გაეროს 1948 წელსვე მიღებული საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლი ეძღვნება ოჯახს, რომლის მიხედვითაც ოჯახი – საზოგადოების ბუნებრივი უჯრედია. არავის შეუტანია ცვლილება ამ დეკლარაციაში, მაგრამ ცდილობენ, ამ ბუნებრივი უჯრედის ხელოვნურად გაფართოებას ზნეობრივად საეჭვო ღირებულებებით. დღეს ყველაფერს ოჯახს უწოდებენ და ათასგვარ დეფინიციას იყენებენ... მაგრამ მამა ადამის აზრით, ასეთი ცნობიერების ევოლუციას ღვთის ნების უგულვებელყოფამდე მივყავართ, რადგან ვერ აცნობიერებენ მეცნიერები, თუ რა დილემის წინაშე აყენებენ ისინი ადამიანს: შეუზღუდავი, ზნეობის ჩარჩოებშემოცვლილი კაცობრიობა, თუ ღვთის სიყვარული, უფლის რწმენა, რომელიც თავისთავად სრულყოფს საზოგადოებას?!

დაახლოებით ამდაგვარი იყო მამა ადამის შეხედულებები, რომელმაც ასე გაახმიანა ეკლესიის დამოკიდებულება სუროგაციისადმი. **„სუროგატული ოჯახის შექმნას საფუძვლად პრაგმატული მოსაზრებები უდევს. მშობლებს სურთ, შვილის ყოლა, თუნდაც ხელოვნური გზით. რა თქმა უნდა, ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს უნაყოფო ოჯახების მთელი ტრაგედია. მაგრამ... სუროგაციის გზით უგულვებელყოფილი ხდება ცოლ-ქმრის საიდუმლოება, შედეგად კი ოჯახური იდილია მაინც მიუღწეველია“,** – ამბობს მამა ადამი.

სემინარზე საკმაოდ აქტუალური საკითხები წამოიჭრა. ხოლო დეტალები და დისკუსია კიდევ უფრო საინტერესო ჭრილში გადავიდა. მაგალითად როცა პროფესორმა ჰანს იოახიმ ჰაანმ დასრულა მოხსენება 7 ბიბლიური ღირებულების შესახებ, რამაც დასავლეთს მოუპოვა თავისუფლება, კეთილდღეობა და სამართლიანობა, მას ჰკითხეს: „ხართ თუ არა დღეს თქვენ შარლი?“ მან კი ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა: „მე არ ვარ შარლი“!

ალბათ, სწორედ ეს არის რელიგიისა და თეოლოგიის არსი. ურთიერთპატივისცემა და მოკრძალება სხვადასხვა კონფესიებისადმი, რომელიც თავისთავად ღვთის სიყვარულს ეფუძნება და არა ძალადობას, ან სიძულვილს...

ნია ფიფია

◎ ჩვენი ინტერესები ჩვენვე უნდა დავიცვათ!

ნანა დევდარიანი: ვნახოთ, რა იქნება თებერვალში!

– ძალბატონო ნანა, თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, შეესაძლებელია ვაზიანში ნატოს საწვრთნელი ბაზა აშენდეს. მიუხედავად იმისა, რომ, ჯერჯერობით ჩვენთვის არ სცალია, რას მოიმოქმედებს ამის საწინააღმდეგოდ რუსეთი?

– ეს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა. როგორც თქვეს, აქ სირიაში მებრძოლი მეამბოხეებიც გაიწვრთნებიან, რასაც რუსეთი უსათუოდ აღიქვამს საფრთხედ და რას მისცემს ეს საქართველოს? ჯერ ერთი, ჩემი აზრით, ეს აშშ-ს მხრიდან საქართველოს შიდაპოლიტიკაში ჩარევაა, მეორე, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ისლამური სახელმწიფოები და სირია საქართველოდან შორსაა, ძალიან ცდება! აშშ-ს რუსეთის საზღვართან დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს ჩვენი სახელმწიფოსთვის მომგებიანი იქნება? მოკლედ, ევროპას საკუთარ კონტინენტზე ვერაფერი გადაუწყვეტია აშშ-ს გარეშე! მე ამ ბაზების აშენების წინააღმდეგი ვარ, ხოლო აშშ-მა კეთილი ინებოს და, თვითონ რომ მოითხოვს სხვებისგან გამჭვირვალობას, აუხსნას მოსახლეობას, რას ნიშნავს ვერშბოუს განცხადება ამერიკელების აქ ჩამოსვლისა და ბაზაში მუშაობის შესახებ?!

– საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტას ვარაუდობს. რამდენად ხელსაყრელი იქნება ასეთი გადაწყვეტილება საქართველოსთვის?

– მან ეს ვაშინგტონში განაცხადა. აშშ-ს რუსეთის იზოლაცია უნდა, მაგრამ ჩვენ ჩვენს მოსახლეობაზე არ უნდა ვიფიქროთ? ევროპაში აქციები იმართება, რადგან რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმმა მთელი ევროპა დააზარალა. რუსული ბაზარი რომ ჩაიკეტოს, რა ეშველება გლეხებს, რომლებსაც პატარა შეღავათი მიეცათ რუსულ ბაზარზე გასვლით? ამ ურთიერთობის ვიღაცის სასიამოვნოდ შეწყვეტა როგორ შეიძლება?! ამერიკა ჰუსეინთან და კადაფთანაც თანამშრომლობდა თავის დროზე, მაგრამ მათი დამხობისთვის ხელი არ შეუშლია. ეს იმის მაგალითია, რომ ჩვენი ინტერესები ჩვენ უნდა დავიცვათ!

– როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან?

– გააკრიტიკა თუ არა ისინი ივანიშვილმა, ამერიკის ელჩი მათი ხელშეუხებლობის გარანტად გამოვიდა. ე.ი. არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ ხელისუფლების კრიტიკის უფლება და ხელისუფლებას არა? ეს უკვე სასაცილოა, იდიოტიზმია, მათ ხმის ამოღების უფლება ჩამოართვეს ივანიშვილს!

მეც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვარ ბიძინასავით, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, ბიძინა მძიმე წონიანად ეჩვენებათ და ეშინიათ. რატომ ამბობს ნორლანდი მათზე ჩვენი პარტნიორები არიანო, რადგან აშშ აფინანსებს და მის ინტერესს იცავენ? და სად არის აქ საქართველოს ადგილი (გაიხსენეთ, არასამთავროებმა არ შეუშალეს ხელი სახელმწიფოს მცდელობას მიწაზე მორატორიუმის დაწესებაზე?)?

– ეთანხმებით თუ არა მთავრობის გადადგომის მოთხოვნით გამართულ აქციას, რომელიც შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს?

– მე არ ვიზიარებ მათ მოთხოვნას, რადგან ჩვენი ამოცანა მთავრობის გამოფხიზლება უნდა იყოს და არა შეცვლა, თუმცა, ვემხრობი აქციის პათოსს. ქვეყანაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ , როგორც ივანიშვილმა თქვა, თებერვალში ბევრი რამ მოგვარდება. უკვე თებერვალია, თან მოკლე თვეა და ვნახავთ, რა იქნება!

ესაუბრა
ია ჯღარკავა

ჩვენი ოპონენტები კარგად მუშაობენ იქ, სადაც მოვისუსტებთ

ნომრის სტუმარია სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე

— ბატონო გელა, მთავრობის რეიტინგი დღითი დღე დაბლა იწევს. თქვენ, როგორც პოლიტიკური პასუხისმგებლობის პირი და მთავრობის ერთ-ერთი წევრი, როგორ ახსნით ამ ფაქტს?

— შესაძლოა, მოცემულ ეტაპზე რეიტინგი დაბლა იწევს; თუ რატომ, ამას ბევრი პროცესი განაპირობებს...

— ერთ ჩინელ მაღალი რანგის მოღვაწეს ჰკითხეს: რას იტყვით ბასტილიის დაცემაზეო, — ამ მოვლენის შემდეგ საკმაოდ მცირე დრო გავიდა, მე რომ კომენტარი გავაკეთოო, — განაცხადა მან. ასე რომ, პოლიტიკური ცხოვრების განვითარება მრავალსეგმენტიანია. საქართველო ძველი კულტურის, მაგრამ ახალი დემოკრატიის ქვეყანაა. მის განვითარებას, სტაბილურობას დრო სჭირდება, თუმცა, ჩვენ გვეჩქარება. ჩემი აზრით, მცირეა ჩვენთან სერიოზულ პოლიტიკოსთა რიცხვი, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა ადამიანების ინტელექტუალურ რესურსსა და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული... შესაბამისად, იქნება პოლიტიკური რყევები, პოზიტიური დინამიკა, რეიტინგის ვარდნაც და ა. შ. თუ ჩვენი მთავრობა ვერ შეძლებს ხალხის მოლოდინის გამართლებას სათანადო დონეზე, არჩევნებზე მას სხვა უფრო პროგრესული ძალა ჩანაცვლებს, იმედია, ყოველგვარი მნიშვნელოვანი რყევების გარეშე.

— თავიდან თუ გქონდათ მოლოდინი იმისა, რომ ამგვარი სირთულეები შეექმნებოდა ხელისუფლებას? ჩვენ გვახსოვს უამრავი დაპირება, რომელიც არ შესრულდა.

— გეთანხმებით, იყო დაპირებები... მაგრამ მე ჩემზე გეტყვით — არავის იმას არ ვპირდები, რისი გაკეთებაც არ შემიძლია. ბევრი ადამიანი მოდის ჩვენთან, რომელიც გულწრფელად გულდაწყვეტილია, იმედგაცრუებულია...

— თქვენი აზრით, რამ შეუშალა ხელი დაპირებების შესრულებას, შეიძლებოდა თუ არა ამის განხორციელება?

— ყველაზე მეტად მტკივა გული იმ პროცესებსა და საქმეებზე, რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და ვერ ან არ განხორციელდა.

— კონკრეტულად?

— ძალიან მაღელვებს დასაქმების პრობლემა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს მხოლოდ მთავრობაზე არ არის დამოკიდებული, ამას სჭირდება კერძო სექტორის აქტიურობა, ინვესტიციები და სხვა. თუმცა, ქვეყნის განვითარება მეტწილად უკავშირდება ხელისუფლების ეფექტიან, გუნდურ მუშაობას, თანამიმდევრულ მოქმედებებს, სწორ, წინსწრებით გათვლებს...

მაგრამ, მე ვერც იმათ დავეთანხმები, რომლებიც ამბობენ, რომ არაფერი კეთდება, რომ პროგრესი არ არის. ჩემი აზრით, ასეთი შეხედულებების ჩამოყალიბებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენი მთავრობა სუსტია პიარის კუთხით.

— ბატონო გელა, ყველა ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში არცთუ სახარბიელო კრიმინალური ვითარება სუფევდა, მაგრამ ჯიუტად ამბობდნენ, რომ ეს ავის მოსურნეთა თვალით დანახული რეალობა იყო. ვნახეთ, ბოლოს, რომ საზარელი მკვლელობა მოხდა. ნუთუ ამის მოგვარება არ შეიძლებოდა?

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ალექსანდრე ჭიკაიძე ძალიან კარგი ადამიანია, საქმის მცოდნე, მაგრამ მისი ჩანაცვლება მცდელობაა იმისა, რომ ვითარება გაუმჯობესდეს. ახალი მინისტრის პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება. მთავრობა ნეგატიურ პროცესებს კი არ ეგუება, პირიქით, ცდილობს, რომ ეფექტიანად წარმართოს საქმე.

— თქვენი აზრით, გაზაფხულზე ცვლილებები თუ იქნება და რამდენად არის საჭირო?

— ყოველგვარ ცვლილებას მივესალმები. არა მხოლოდ საკადრო, არამედ სიახლეა საჭირო ყველა იმ სფეროში, რომელიც ქვეყნის განვითარებას მოემსახურება.

— საქართველოში განვითარებული პროცესები როგორ აისახა დიასპორაზე, როგორ ხვდებიან ისინი შიდა პოლიტიკურ რეალობას ქვეყნის გარეთ?

— დიასპორა ჩვენი საზოგადოების ორგანული ნაწილია. მართალია, ისინი ქვეყნიდან მოცილებით იმყოფებიან, თუმცა, ციფრული კომუნიკაციების ეპოქაში დისტანციაზე ყოფნა ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე წვდომა ადვილია და მათი აღქმა, გულისტკივილი ზუსტად იგივეა, როგორც აქ...

— მათთვის რა შეიცვალა თქვენი გამინისტრების შემდეგ, რა იყო პოზიტიური?

— ჩვენ შევეცადეთ შემოგვეღო ახალი მიდგომა, ასე ვთქვათ, ახალი ფილოსოფია — ჩვენს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს სოციალურ გმირებად ვაღიარებთ, ანუ დიასპორელების ყოველდღიურობა გმირობის ტოლფასია, ისინი უამრავ ვალდებულებას იღებენ და ასრულებენ თავიანთი ოჯახების, ახლობლების უზრუნველსაყოფად.

სამინისტროში შემოვიღეთ ახალი მექანიზმები, ჩვენი მოქმედების პროფილი გადავრთეთ დიასპორული ინვესტიციების მოზიდვაზე, კონკრეტულ სეგმენტაციაზე. მალე გამოვუშვებთ წიგნს „მსოფლიო პროგრესული ქვეყნების დიასპორული გამოცდილება“. როგორც იცით, ჩვენ გავხდით საერთაშორისო დიასპორული ალიანსის ჩართულობის წევრი, რომელიც ჰილარი კლინტონის დაარსებულია. ამ ორგანიზაციის ერთადერთი წევრი ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასევე, ახლო მომავალში მათთან ვაფორმებთ სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმს და ჩვენ ვიქნებით აღმოსავლეთ ევროპაში მათი საქმიანი პარტნიორი. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელი კოლეგები გასაგებ, აღქმად და სანდო პარტნიორად მიგვიჩნევენ. ეს ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებს კიდევ უფრო დახვეწილი სოციალური კონვერტი შევთავაზოთ.

მაისში ვაპირებთ, საქართველოში ჩავატაროთ პროფესიული დიასპორული ფორუმი, სადაც დიასპორის წარმომადგენლები სამუშაო პანელებში წარმოაჩენენ თავიანთ პოტენციალსა და ენერგიას. ჩამოვლენ წარმატებული ექიმები, ინჟინრები, კულტურის სფეროს მუშაკები, სამღვდელოება, აქ შეხვდებიან ადგილობრივ კოლეგებს და ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას.

— შემოდგომაზე ჩაატარეთ დიდი კონფერენცია და აქ ჩამოსულები იყვნენ ბიზნესის სფეროში წარმატებული დიასპორის წარმომადგენლები, რა გაგრძელება მოჰყვა მას? თუ შემოვიდა ინვესტიციები?

— რა თქმა უნდა, ინვესტიციები შემოდის. ჩვენთან მოდიან სხვადასხვა ეკონომიკური პროფილის ადამიანები, მოჰყავთ უცხოელი პარტნიორები და პროექტებს ახორციელებენ, მაგალითად, ენერგეტიკის სფეროში, განიხილება სასათბურე სისტემების სრულყოფა. ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შემიძლია, დავასახელო ბიზნესმენი გიორგი სვანიძე, რომელმაც თურქ პარტნიორთან ერთად დარგო 250 ათასი ძირი ზეთისხილის ხე, ხოლო ამის შემდეგ საქართველო გამოჩნდა მსოფლიო ზეთისხილის რუკაზე. კონფერენციაზე განხილული თემატიკა დინამიკურად გაგრძელდა აშშ-ში, სადაც მივავლინეთ უფროსი მრჩეველი ნინა მატიაშვილი, რომელმაც შეხვედრები გამართა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის, მსოფლიო ბანკის, USAID-ის, დიასპორული ალიანსის ხელმძღვანელობასთან და სამშობლოში კონკრეტული საქმიანი წინადადებებით დაბრუნდა.

— როგორია სამინისტროს ბიუჯეტი 2015 წელს?

— გაგვეზარდა 300 ათასი ლარით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თანხა ინფლაციამ შეჭამა. ჩვენი წლიური ბიუჯეტი 1 მილიონ 200 ათასი ლარია, რაც ძალიან მწირია... მაგრამ ქვეყნის საშუალებას ვითვალისწინებთ. უარს ვამბობთ ბევრ რამეზე, მათ შორის, პირად კომფორტზე და ვცდილობთ, თანხები გეგმაზომიერად დავხარჯოთ.

— თქვენ პრემიას არ იღებთ?

— ხელფასის გარდა, არაფერი ამიღია. გადახედეთ სიას და თუ ჩამონათვალში სადმე მნახავთ, თქვენი შენიშვნაც კი იქნება საკმარისი, რომ თანამდებობა დავტოვო.

— ეს იმას ნიშნავს, რომ კოლეგებს საქციელს არ უწონებთ?

— არ ვიცი, ჩემი კოლეგები ამ მიმართულებით რას აკეთებენ. მთავრობაში მრავალი პატიოსანი ადამიანი მუშაობს. პირადად ვცდილობ, მოქალაქეებისთვის მოკრძალების მაგალითი ვიყო.

— და საინტერესოა, თქვენი სამომავლო გეგმები, რას აპირებთ?

— როგორც იცით, წარმატებული ვიზიტები მქონდა თურქეთსა და ბაქოში. საინტერესოა, რომ თურქეთის სკოლებში ქართულის სწავლება დაუშვეს. ბაქოში ვიზიტისას ხუთ მინისტრსა და მაღალჩინოსანს შევხვდი, ვიყავი საინგილოში. მზადდება ვიზიტი ირანში, ფერეიდანში... რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, ვაპირებ გამგზავრებას უკრაინაში, სადაც რამდენიმე ქალაქში ჩვენს მრავალრიცხოვან დიასპორას შევხვდები. მათ აინტერესებთ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში და მე მინდა, ობიექტური ინფორმაცია მივაწოდო.

— უკრაინა ის ქვეყანაა, სადაც ქართველი ნაციონალები აქტიურობენ...

— სწორედაც რომ, ამიტომ. პოლიტიკა არის მუშაობა, ბრძოლა. ესა თუ ის პოლიტიკური ძალა კარგად მუშაობს იქ, სადაც ჩვენ სუსტები ვართ. მინდა, უკრაინაში მცხოვრებ ქართველებს ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია ჩავუტანო.

— ხომ არ აპირებთ გააქტიურებას რუსეთში, სადაც ქართული დიასპორის უდიდესი ნაწილია თავმოყრილი?

— რუსეთიდან ხშირად ჩამოდიან ქართველები. ისინი არ არიან დღევანდელი ვითარებით კმაყოფილნი. შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, დაიხურა ბევრი დიასპორული ორგანიზაცია, საკვირაო სკოლები. ვაგზავნით წიგნებს, მეთოდიკურ თუ სასწავლო ლიტერატურას, გვაქვს კულტურული ურთიერთობები.

სამწუხაროდ, ყველაფერს ართულებს ის, რომ ორ ქვეყანას შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები და არ აღდგება იქამდე, ვიდრე არ აღდგება საქართველოს მთლიანობა!

— გმადლობთ, საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ თითქმის დაუჯერებელი

კახა ლომაია — ნაცისტების სახე

რატომ არ უნდოდა სააკაშვილს ცხინვალიდან ქართველი სამხედროების ცხედრების გამოტანა?

გენერალი ვიაჩესლავ ბორისოვი პორტალ „კვირასთან“ 2008 წლის აგვისტოს ომის დეტალებს იხსენებს. გენერალი კონკრეტულად უშიშროების სამსახურის იმჟამინდელი უფროსის კახა ლომაიასა და უმცირესობის დეპუტატის გივი თარგამაძის გვარებს ასახელებს და აცხადებს, რომ მათ ომის დროს დაღუპული ქართველი ჯარისკაცებისა და ტყვეების ქართული მხარისთვის გადმოსაცემად არაფერი გააკეთეს.

ბორისოვი იხსენებს, რომ ამ საქმის ორგანიზებისთვის მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ეს ორი პირი გააგზავნა. როგორც რუსი გენერალი აცხადებს, ქართული მხარისთვის ჯარისკაცების ცხედრების გადმოცემა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს და, უშუალოდ, კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ჩარევითა და ძალისხმევით მოხდა.

— როდესაც ქართულმა მხარემ მხოლოდ 5 ტყვე გადასცა რუსეთს, ამას მოჰყვა ჩვენი მოთხოვნა, ყველა დაკავებულის, გარდაცვლილისა და დაჭრილის გადმოცემის შესახებ.

მიხეილ სააკაშვილმა ამ საქმის ორგანიზება მთხოვა და ამაში ქართველი მაღალჩინოსნებიც ჩარია. ამ მიზნით გორში ჩემთან შესახვედრად ალექსანდრე ლომაია და გივი თარგამაძე ჩამოვიდნენ. ლომაიას რაც შეეხება, იგი არც სიტყვის კაცია, არც საქმის, უბრალოდ, მშიშარა ადამიანია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში ძალიან მაღალ თანამდებობაზე იმყოფებოდა. ის არ გვეხმარებოდა არც გარდაცვლილების და არც დაჭრილების გადაცემაში, ის მხოლოდ და მხოლოდ ტყვიაგაუმტარი ჟილეტით დარბოდა. ეშინოდა, რომ არავის არაფერი დაეშავებინა მისთვის და არავის გაეტაცებინა. ვის რაში სჭირდებოდა ლომაია! ჩახტა პირველივე მანქანაში და იქაურობა დატოვა. არაფრის ორგანიზებაში მას წვლილი არ შეუტანია. გივი თარგამაძე კი სააკაშვილის მიერ დაკისრებულ მისიას ასრულებდა და პირადად იყო ჩართული გარდაცვლილებისა და ტყვეების დროულად დაბრუნების მოლაპარაკებებში, — განაცხადა გენერალმა ვიაჩესლავ ბორისოვმა „კვირასთან“ საუბრისას.

ბორისოვისა და კახა ლომაიას შეხვედრას „კვირასთან“ იხსენებს შეხვედრის თვითმხილველი, გორის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ტარიელ თოდაძე. როგორც თოდაძე „კვირასთან“ ინტერვიუში აცხადებს, ლომაიას და ბორისოვის შეხვედრა 14 აგვისტოს, დილის საათებში, გორის ცენტრში შედგა. მისი თქმით, ბორისოვის მანქანაში მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიაც იმყოფებოდა. თოდაძე ბორისოვისა და ლომაიას შორის საუბარსაც იხსენებს და ჰყვება, რომ ბორისოვმა ლომაიას კითხვით მიმართა, თუ რატომ არ აკეთებდა არაფერს ქართული მხარე ქართველი ჯარისკაცების ცხედრების ცხინვალის ტერიტორიიდან გამოსატანად.

— ლომაია რომ მოვიდა, რამდენიმე წუთში მოვიდა ბორისოვიც, მის მანქანაში რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიაც იმყოფებოდა. ბორისოვი და ლომაია ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ბორისოვმა პირდაპირ მიმართა მას: ბოლო-ბოლო ქრისტიანები არ ხართ, ორი დღეა გირეკავთ და რატომ არ მოდიხარ, თქვენი ჯარისკაცების გვამები ცხინვალში უპატრონოდაა მიყრილი, გვამებს ძაღლები და ღორები ჭამენ, ყარს იქაურობაო. მე ეს რომ მოვისმინე, თავი ვეღარ შევიკავე და ლომაიას საცემრად გავიწიე, თუმცა, იქ მყოფებმა შემაკავეს. შემდეგ ლომაია მანქანაში ჩაჯდა. ბორისოვი მომიტრიალდა და ქართულად მითხრა: კარგი, ბიჭო, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო, — მე მას ვუთხარი, ნება მოეცათ, რომ მე ჩემი ძალებით მომეხერხებინა ჩვენი სამხედროების ცხედრების გამოტანა ცხინვალიდან, — განუცხადა „კვირას“ ტარიელ თოდაძემ.

ცირა შერგელაშვილი,
მარიამ ზედგინიძე,
kvira.ge

ქმნა მართლისა, სამართლისა...

პროკურატურამ ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა

პროკურატურამ ე.წ. კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის საქმე გახსნილად გამოაცხადა.

პროკურატურის განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„ე.წ. კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის საქმე მთავარმა პროკურატურამ გახსნა.

განახლებული გამოძიების პირობებში, რომელიც მოიცავდა 150-მდე მოწმის დაკითხვას (მათ შორის, ერთი მოწმე დაიკითხა საზღვარგარეთ), ათზე მეტი ექსპერტიზისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, პროკურატურამ გამოკვეთა ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის მოტივი, აღადგინა ის სურათი, რაც მოხდა 2006 წლის 2 მაისს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს და **დაადგინა, რომ ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი მოკლულ იქნენ შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ირაკლი ფირცხალავას ხელმძღვანელობით მომხდარი შეიარაღებული თავდასხმისას, რომელსაც ყალბად ყაჩაღობის მომზადების აღსაკვეთად ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაცია უწოდეს**.

ხსენებულ საქმეზე, პროკურატურის მიერ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, განზრახ მკვლელობის, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და განზრახ უკანონო დაკავების ბრალდებებით დაკავებულია 11 პირი:

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე **ირაკლი ფირცხალავა;**

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებროს სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე **გიორგი ცააძე;**

შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი გამომძიებელი **ლევან ბეროძე;**

შსს ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფის ყოფილი უფროსი **კახაბერ ნაკანი** და მისი ყოფილი მოადგილე **გიორგი გულბიანი;**

სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები: **იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია და ალექსანდრე სანიკიძე**.

ხოლო ერთი პირის — შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი გამომძიებლის **გრიგოლ კვინიკაძის** მიმართ, რომელსაც დატოვებული აქვს საქართველოს საზღვარი, გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდების შესახებ.

პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება შემდეგი: 2006 წლის მაისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა დაგეგმეს და განახორციელეს სპეცოპერაცია, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობით დასრულდა. სპეცოპერაციის ჩატარებას წინ უსწრებდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ირაკლი ფირცხალავას პირადი დაინტერესება ალექსანდრე ხუბულოვის მიმართ, ასევე იმ პერიოდში სამართალდამცავ ორგანოებში დამკვიდრებული დანაშაულთან ბრძოლის ნულოვანი ტოლერანტობისა და კრიმინალთან ბრძოლისათვის სასტიკი მეთოდების პროპაგანდა, რაც გულისხმობდა წინასწარ „დამნაშავედ“ მონათლული პირების ლიკვიდაციას.

ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ 2006 წლის 07 აპრილს, სოდის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს ირაკლი ფირცხალავას ძმა ლევან ფირცხალავა. აღსანიშნავია, რომ ლევან ფირცხალავას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებს, მის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მიაწოდა მოგვიანებით, სპეცოპერაციის დროს მოკლულმა ალექსანდრე ხუბულოვმა, რის შესახებაც ცნობილი გახდა ირაკლი ფირცხალავასთვის. მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტისა და რეპუტაციის ამგვარი ფორმით საფრთხის ქვეშ დაყენება, რის გამოც გადაწყვიტა ლიკვიდაციის გზით, შური ეძია თავისი დაკავების საქმეში მთავარ ფიგურანტ ალექსანდრე ხუბულოვზე.

ირაკლი ფირცხალავას დანაშაულებრივი გეგმით, იგი შსს სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად შეიმუშავებდა ალექსანდრე ხუბულოვის მიერ ყაჩაღობის მომზადების სცენარს და დანაშაულთან ბრძოლის საქვეყნოდ გაცხადებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ფარგლებში, „წარმატებული“ სპეცოპერაციის ფორმით მოაკვლევინებდა ალექსანდრე ხუბულოვს, რითაც იგი, ერთის მხრივ, შურს იძიებდა ალექსანდრე ხუბულოვზე, რომელმაც ამხილა მისი ძმა ნარკოტიკებთან კავშირში, ხოლო, მეორე მხრივ, ეს სპეცოპერაცია მას და მის თანამზრახველებს დანაშაულთან მებრძოლი სამართალდამცავების იმიჯს დაუმკვიდრებდა.

2006 წლის 1 მაისს, ირაკლი ფირცხალავასთვის ცნობილი გახდა, რომ მომდევნო დღეს, დილის საათებში, ალექსანდრე ხუბულოვი მეგობრებთან აპირებდა შეხვედრას, რის შემდგომაც მათთან ერთად გაემართებოდა ისანი-სამგორის რაიონის მიმართულებით. ირაკლი ფირცხალავა საკუთარი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას შეუდგა, მან კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები შეკრიბა და დაიწყო სპეცოპერაციის დაგეგმვა, რომელიც შეინიღბა ყაჩაღური თავდასხმის მომზადებაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად.

2006 წლის 2 მაისს, დაახლოებით 09:00 საათზე, ალექსანდრე ხუბულოვი შეხვდა თავის მეგობრებს ზურაბ ვაზაგაშვილსა და ბონდო ფუთურიძეს და ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომანქანით გაემართა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით. ალექსანდრე ხუბულოვი დაჯდა მძღოლის გვერდით, წინა მარჯვენა სავარძელზე, ხოლო ბონდო ფუთურიძე — ავტომანქანის უკანა სავარძელზე.

მოძრაობისას, დაახლოებით 09:45 საათზე, ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომანქანა ქ.თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე საჩოგბურთო კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით, შუქნიშნის ამკრძალავ წითელ ფერზე გაჩერდა, რა დროსაც შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებთან ერთად, ავტომანქანებით ადევნებდნენ მათ თვალს. ამ დროს, ირაკლი ფირცხალავას მიერ ხელის რადიოსადგურის მეშვეობით ბრძანების გაცემისთანავე, ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული სპეცდანიშნულების რაზმის წევრები: იასონ მილაძე, გიორგი გულბიანი, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია, ალექსანდრე სანიკიძე და კახაბერ ნაკანი გადმოვიდნენ ავტომანქანიდან და გაემართნენ ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომანქანისაკენ. მანქანასთან მიახლოებისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდნენ ხალხმრავალ ადგილას, ამასთან, ავტომანქანაში მყოფი პირებისაგან არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ, ირაკლი ფირცხალავას მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ყოველგვარი მოწოდებისა და გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე, ცეცხლი გაუხსნეს ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომანქანას და მის მგზავრებს. ზურაბ ვაზაგაშვილი სროლებისაგან თავის დაღწევის მიზნით, შეეცადა ავტომანქანით გაქცევას, გადავიდა გზის საპირისპირო სავალ ნაწილზე, თუმცა, ინტენსიური სროლების გამო დაკარგა ავტომანქანის მართვა და შეეჯახა ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ, გზის სავალ ნაწილზე მდებარე ელექტროგანათების ბოძს, რის შედეგაც ინტენსიური სროლები მანქანის მგზავრების მისამართით კვლავ გაგრძელდა.

ინტენსიური სროლის შეწყვეტისთანავე, ე.წ. „სპეცოპერაციის“ მონაწილე, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე გიორგი ცააძე, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ირაკლი ფირცხალვას მიერ ორგანიზებული დანაშაულის დაფარვის, თვითმხილველი მოწმეების განადგურებისა და წარმატებული ოპერაციის დასრულებაში დარწმუნების მიზნით, მიუახლოვდა ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომობილს და თანნაქონი ცეცხლსასროლი იარაღიდან საკონტროლოდ ისროლა სალონის წინა ნაწილში მჯდომი ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მისამართით.

ჩატარებული ექსპერტიზებით დადგენილია, რომ ვაზაგაშვილის მანქანის მიმართულებით მოხდა ასზე მეტი გასროლა, მანქანას აღენიშნება 97 ცეცხლსასროლი დაზიანება; ზურაბ ვაზაგაშვილს სხეულზე აღენიშნებოდა 8 ცეცხლსასროლი ჭრილობა; ალექსანდრე ხუბულოვს აღენიშნებოდა 9 ცეცხლსასროლი ჭრილობა; მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდა ასევე ბონდო ფუთურიძესაც.

მიყენებული ჭრილობების შედეგად ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი ადგილზევე გარდაიცვალნენ, ხოლო ბონდო ფუთურიძემ მიიღო სიცოცხლისათვის საშიში მძიმე ხარისხის დაზიანება.

აღნიშნულით დანაშაულებრივი გეგმის პირველი ნაწილი დასრულდა. ამის შემდგომ საჭირო იყო ჩატარებული ოპერაციისათვის კანონიერი სახის მიცემა და ლეგენდის მოგონება, რომ ვაზაგაშვილი, ხუბულოვი და ფუთურიძე გეგმავდნენ ყაჩაღურ თავდასხმას.

პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ არანაირი ყაჩაღობისთვის მზადება არ ყოფილა და ყაჩაღობის მომზადების სცენარი შეითხზა ირაკლი ფირცხალავას ორგანიზებით მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის გზით:

ე.წ. სპეცოპერაციის დასრულებისთანავე, გამომძიებელმა გრიგოლ კვინიკაძემ შეადგენა ბონდო ფუთურიძის ეჭვმიტანილის სახით დაკავების ოქმი, თითქოს იგი ზურაბ ვაზაგაშვილთან და ალექსანდრე ხუბულოვთან ერთად ამზადებდა ყაჩაღურ თავდასხმას, მაშინ, როდესაც არ არსებობდა ყაჩაღობის მომზადების ფაქტის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება.

შემთხვევის ადგილზე მიიყვანეს ავტომანქანა, რომელსაც აღენიშნებოდა ცეცხლნასროლი დაზიანება წინა საქარე მინაზე. ხსენებული ავტომანქანა დააყენეს ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომანქანის უკან, 48 მეტრის მოშორებით, თითქოსდა ზურაბ ვაზაგაშვილის ავტომანქანის უკანა საქარე მინიდან განხორციელდა გასროლა, ხოლო ტყვია მოხვდა პოლიციელის ზემოხსენებულ ავტომანქანას, რაც ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების მიმართ ცეცხლის გახსნის ერთგვარი საფუძველი იქნებოდა.

თუმცა, მხოლოდ მანქანის დაზიანება არასაკმარისად მიიჩნიეს შეიარაღებული წინააღმდეგობის მოსანათლად, აუცილებელი იყო ადამიანური მსხვერპლიც, რის გამოც შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებელმა ლევან ბეროძემ თვითდაზიანება მიიყენა მარცხენა ფეხის არეში, რომელიც მან თითქოს ვაზაგაშვილის მანქანასთან შეჯახებისას მიიღო.

ზურაბ ვაზაგაშვილის, ალექსანდრე ხუბულოვისა და ბონდო ფუთურიძის მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა აუცილებლად გულისხმობდა ავტომანქანაში ცეცხლსასროლი იარაღის არსებობას, სხვა შემთხვევაში კი, ავტომანქანისა და მისი მგზავრებისათვის ცეცხლის გახსნა კანონიერ სახეს ვერ შეიძენდა, რის გამოც ირაკლი ფირცხალავას დავალებით შსს თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე მიიტანეს და ავტომობილში ჩააწყვეს ცეცხლსასროლი იარაღები, მასრები, რაციები და ყაჩაღობისათვის საჭირო სხვა ნივთები, რითაც მოახდინეს მტკიცებულებების ფალსიფიცირება.

გარდა ამისა, საჭირო იყო პირი, რომელიც „დააგვირგვინებდა“ ვერსიას ყაჩაღური თავდასხმის მომზადების შესახებ და აღიარებდა ხსენებულ პირებთან ერთად დანაშაულის ჩადენას. ამ მიზნით, 2006 წლის 3 ივნისს, საკონტროლო გასროლების განმახორციელებელმა გიორგი ცააძემ აიძულა ედუარდ სინდოიანი, ეთქვა, რომ თითქოს ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდა თანამზრახველებთან — ვაზაგაშვილთან, ხუბულოვსა და ფუთურიძესთან ერთად, რა დროსაც მოხდა ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა და მიღებული მასალები მტკიცებულებად დაერთო საქმეს, როგორც ყაჩაღური თავდასხმის მომზადების მტკიცებულება.

ირაკლი ფირცხალავასა და მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, ზურაბ ვაზაგაშვილი, ალექსანდრე ხუბულოვი და ბონდო ფუთურიძე საქვეყნოდ გამოცხადდნენ ყაჩაღებად, ხოლო შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში სამაგალითო უწყებად.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით და 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას“, — აღნიშნულია განცხადებაში.

გამოჩენილი მეცნიერი და ღირსეული მამულიშვილი

ჩემი უნიჭიერესი მოწაფე თენგიზ სანაძეა.

ა. პროხოროვი.
ნობელის პრემიის ლაურეატი.

30 იანვარს 85 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს და სამაგალითო პიროვნებას, აკადემიკოს თენგიზ სანაძეს.

იგი მართლაც მრავალმხრივ გამოჩენილი პიროვნება იყო. ის წარმოგვიდგება, როგორც საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ქართველი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის კვლევის ერთ-ერთი ლიდერი, უნიჭიერესი ექსპერიმენტატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის დაუღალავი მებრძოლი, არაჩვეულებრივი პედაგოგი, ქვეყნის ერთგული მამულიშვილი, ჭეშმარიტი პატრიოტი, შესანიშნავი პიროვნული თვისებების მქონე, ვაჟკაცური ბუნების, თავმდაბალი, მეგობრობის დამფასებელი და ოჯახის მოყვარული ადამიანი.

თ. სანაძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის დარგში ფიზიკური კვლევებისა და ტექნიკის განვითარება. მის მიერ დისკრეტული გაჯერების მოვლენის აღმოჩენამ და იმპულსური ეპრ სპექტროსკოპიის შექმნამ მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა მეცნიერულ წრეებში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ შესულა Marqus Who's Who, ყოველწლიურ გამოცემაში 1995 წლიდან, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის (ABI) 1996 წელს გამოცემულ წიგნში International Book of Honor, კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის გამოცემაში, 2000 გამოჩენილ ადამიანთა სიაში. 2000 წელს ეპრ საერთაშორისო საზოგადოებამ მიანიჭა FELLOW-ს ტიტული, რაც უმაღლესი შეფასებაა ამ დარგში.

თ. სანაძემ შთამბეჭდავი კვალი დატოვა როგორც ქართულ მეცნიერებაში, ისე ბოლო წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართული მეცნიერების, განათლების, უნივერსიტეტის გადარჩენა იყო თ. სანაძის ცხოვრების უკანასკნელი წლების მთავარი საზრუნავი. ის იყო „ქართული აკადემიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წამყვანი წევრი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მოღვაწეობაში მას მუდამ გვერდში ედგა მეუღლე აველინა დავითულიანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სანაძის აქტიური და შეუპოვარი ბრძოლა უნივერსიტეტის გადასარჩენად. ის სათავეში ჩაუდგა ამ მიზნით წამოწყებულ საპროტესტო მოძრაობას. სწორედ თენგიზისა და მისი კოლეგა ცნობილი მეცნიერების ავტორიტეტმა განაპირობა ის, რომ საზოგადოება ახლაც ზიზღით იხსენებს მაშინდელი „ჰეროსტრატების" — რექტორ ხუბუას და მისი დამქაშების მოქმედებებს.

თ. სანაძე ბრწყინვალე პედაგოგი და ლექტორი გახლდათ. მისი ლექციები და გამოსვლები კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და სემინარებზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. მეტად საინტერესო და სასარგებლო იყო მასთან შეხვედრები და საუბრები სხვადასხვა თემებზე, და არა მარტო ფიზიკაზე, ის ხომ მაღალი ენციკლოპედიური განათლების მქონე გახლდათ. თ. სანაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს.

თ. სანაძე სამაგალითო დარჩა თავისი პრინციპულობით, ვაჟკაცობითა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში შეუპოვრობით.

თ. სანაძე იყო უნიჭიერესი პიროვნება. ის კარგად ფლობდა რადიოტექნიკას, თვით აწყობდა დანადგარებს და ხელსაწყოებს. მან ბრწყინვალედ აითვისა სხვადასხვა მედლების, მათ შორის მინანქრიანის დამზადება, შესანიშნავად უკრავდა როიალზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თენგიზის კეთილმოსურნეობა მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მიმართ. ის დიდ დახმარებას უწევდა საზოგადოებას მუშაობაში. საკმარისია ისიც რომ 10 ნოემბერს, მეცნიერების დღეს, კონკურსში გამარჯვებულები ჯილდოვდებოდნენ თენგიზის გაკეთებული მედლით.

თ. სანაძე ადამიანური ღირსებებით უხვად დაჯილდოებული გახლდათ. ის რაინდული ბუნების, მეგობრული, ყველასადმი კეთილგანწყობილი (მისგან ვინმეზე აუგი არავის გაუგია), თავმდაბალი, ყოველგვარ ამბიციებს მოკლებული, უაღრესად კეთილშობილი, პატიოსანი, ოჯახის მოსიყვარულე ადამიანი იყო.

წიგნში — „თანაკურსელები" — თენგიზმა ცხოვრების კრედოდ ჩაწერა „მეცნიერების უანგარო სამსახური". მან ეს სამსახური მართლაც ბრწყინვალედ გაიარა და მეცნიერების ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

ყველა ადამიანში, ვინც თენგიზს იცნობდა, მტკივნეული განცდა გამოიწვია მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლამ. თ. სანაძის სახით საქართველოს საზოგადოებამ დაკარგა საერთაშორისო კლასის მეცნიერი, ბრწყინვალე ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, ღირსეული მამულიშვილი, შესანიშნავი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერების და განათლების განვითარებისთვის დაუღალავი მებრძოლი, საუკეთესო პიროვნული თვისებებით აღსავსე ადამიანი.

თ. სანაძის ხსოვნა მარად იქნება ჯანსაღ ქართულ საზოგადოებაში. მან ეს მარადიულობა თავისი სპეტაკი ცხოვრებით დაიმსახურა.

მეცნიერების ისტორიის
საქართველოს საზოგადოება

სჯობს სახელისა მოსვეჭა...

ცნობილ მეცნიერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დემი ლაოშვილს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის 50 წელი შეუსრულდა.

დიდია პროფესორ დ. ლაოშვილის დამსახურება ეროვნული ენერგეტიკული კადრების აღზრდის საქმეში. 1981-1991 წლებში იგი იყო ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი, 1991-1995 წლებში — ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, 1995-2005 წლებში, ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ — ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი.

განვლილ პერიოდში დ. ლაოშვილის ხელმძღვანელობით ენერგეტიკის ფაკულტეტმა 6000-ზე მეტი ინჟინერ-ენერგეტიკოსი გამოუშვა, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ობიექტებზე, მსხვილი სამრეწველო საწარმოების ენერგეტიკულ სამსახურებში, სასწავლო-სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას პროფ. დ. ლაოშვილი წარმატებით უთავსებს ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი არის 210 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, მათ შორის, 11 სახელმძღვანელოსა და ორი მონოგრაფიის, რიგი მეთოდური მითითებების ავტორი. სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებული აქვს აშშ-ში, უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, დსთ-ს ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში.

დ. ლაოშვილის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობისა და მისი რეჟიმების ოპტიმიზაციის პრობლემები. მანვე დაამუშავა ელექტრომომარაგების სისტემის საიმედოობის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გაანგარიშების მეთოდები, უპირატესად მთიანი ზონის რეგიონებისათვის.

დ. ლაოშვილს კარგად იცნობს დსთ-ს, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამეცნიერო-ენერგეტიკული საზოგადოება. იგი არის 60-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის, სიმპოზიუმისა და ფორუმის მონაწილე, რიგი საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და სექციის თავმჯდომარე, საერთაშორისო-სამეცნიერო ორგანოს — ჟურნალ „ენერგეტიკის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2008 წელს დ. ლაოშვილი აირჩეს ინჟინერ-ენერგეტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად. იგი სისტემატურად მონაწილეობს ქვეყნის ენერგეტიკის პრობლემების შემსწავლელ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და სამთავრობო კომისიების მუშაობაში.

დ. ლაოშვილის ინიციატივით 1997 წელს შეიქმნა ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი, სადაც მუშავდება ენერგეტიკული სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ენერგოსისტემის რეაბილიტაცია მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან ურთიერთკავშირის პირობებში; ენერგეტიკულ სისტემაში მიმდინარე დინამიკური პროცესების ოპტიმიზაცია ენერგეტიკული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით; ენერგეტიკული სისტემის რეაბილიტაცია 220-500 კვ ძაბვის ქსელებში აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების ოპტიმალური რეგულირების დროს.

პროფ. დ. ლაოშვილს გამოქვეყნებული აქვს ფუნდამენტური სახელმძღვანელოები ელექტროენერგეტიკული პროფილის ყველა სპეციალობის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის. მისი სახელმძღვანელოები „ენერგეტიკა", „ელექტრომომარაგება", „ზოგადი ენერგეტიკა" და „ელექტროენერგეტიკა" სტუდენტებისა და ენერგეტიკული სისტემის საინჟინრო პერსონალის სამაგიდო წიგნებად იქცა.

საქართველოში ტექნიკური მეცნიერების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური ენერგეტიკული კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის პროფ. დ. ლაოშვილი 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სახელმძღვანელოსათვის „ენერგეტიკა" პროფ. დ. ლაოშვილს 2004 წელს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო სახელმძღვანელოსათვის „ელექტრომომარაგება" 2006 წელს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია მიენიჭა.

გულითადად ვულოცავთ დ. ლაოშვილს სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

არჩილ ფრანგიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

რევაზ არველაძე,
საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ ალიან-ჩალიანი

მაისში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნება

„თბილისის ზღვის ახალ ქალაქში" 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისი" ოფიციალურად მაისში გაიხსნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" „ჰუალინგ ჯგუფიდან„ აცნობეს, მსოფლიოში ცნობილ ბრენდს პირველად საქართველოში ყველაზე დიდი საინვესტიციო კომპანია „ჰუალინგ ჯგუფი" წარმოადგენს.

„ჰოთელს&პრეფერენსი" 2000 წელს საფრანგეთში დაარსდა. დღეისათვის მისი სასტუმროები მსოფლიოს 20 მნიშვნელოვან ადგილას არის განთავსებული და პრემიუმ სასტუმროთა ტოპ ხუთეულში აქტიურად პოზიციონირებს. „ჰოთელს&პრეფერენსის"მთავარი ღირებულებები ფრანგული ფასეულობებიდან გამომდინარეობს, რაც მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უპირატესობად მოიაზრება.

თბილისის ზღვასთან მშვიდ, ჯანსაღ და სასიამოვნო გარემოში მდებარე, პრემიუმ კლასის 247-ნომრიანი სასტუმრო სტუმრებს განსაკუთრებულ და მიმზიდველ პირობებს შესთავაზებს: დიდ და კომფორტულ ოთახებს; თბილისში ყველაზე დიდ საკონფერენციო დარბაზს (800 კვ. მეტრი) და 3 შეხვედრების ოთახს; აზიურ, ევროპულ, ქართულ სამზარეულოს და საქართველოს სასტუმროებს შორის პირველად, ყველაზე გრანდიოზულ ჩინურ რესტორანს „ენსემბლი" ჩინეთის სხვადასხვა რეგიონის უგემრიელესი ეგზოტიკური კერძებით.

ასევე, სასტუმრო თავის გასართობ-სარეკრეაციო ზონაში სტუმრებს საცურაო აუზით, სიმულაციური გოლფის მოედნით, სპორტული დარბაზით, საბილიარდო და სხვა გასართობი საშუალებებით მომსახურებას შესთავაზებს.

2014 წლის დეკემბერში „ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისმა" სასტუმროს მიერ ორგანიზებულ დასაქმების დღეებზე 300-მდე თანამშრომელი შეარჩია, რომლებიც მუშაობას გაზაფხულიდან შეუდგებიან.

◎ ჭიდაობა



ხვავრიელი ნადავლით

ირანულ მაშადში „იადიგარ იმამის თასზე“ ორივე სტილით მოჭიდავე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდებმა 6 მედალი დაიმსახურეს - თითო ოქრო-ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჩემპიონი გახდა ზურაბ ურთაშვილი (100), რომელმაც ფინალში ირანელთა ლიდერს, ამავე ასაკში მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ნაიმ რაჰიმ ჰასანზადეს სძლია. ბრინჯაო გიორგი ხაჩიძემ (46) და თორნიკე კვინიკაძემ (63) მოიპოვეს. ხაჩიძემ მედლისთვის გადამწყვეტ პაექრობაში ჩრდილოკორეელი კამ კუნ სონი დაამარცხა, კვინიკაძემ - აზერბაიჯანელი ორხან აბასოვი.

მაშადში მსგავს წარმატებამდე მცირედი დააკლდათ „კლასიკოსებს“ — მათი მონაგარია 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ფინალში იჭიდავა ჭაბუკებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა და მსოფლიოს მესამე პრიზიორმა ნიკოლოზ ჭიკაიძემ (69). გადამწყვეტი შეხვედრა მან სომეხ არუთინ ალექსანიანთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლებს თემურ ჭკუასელიძე (76) და ბექა მაკარიძე (100) დაეუფლნენ.

ლაშა დიდია

◎ ფიგურული ციგურაობა

შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს

მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატს ოთხი დღის განმავლობაში სტოკჰოლმი (შვედეთი) მასპინძლობდა. შეჯიბრებაზე დებიუტი საქართველოს მოცეკვავეთა წყვილმა (ტატიანა კოზმავა და ალექსანდრ ზოლოტარიოვი) მხოლოდ 27-ე ადგილით აღნიშნა. სამწუხაროდ, ვერც ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა ელენე გედევანიშვილმა გამოიჩინა თავი. მოკლე პროგრამით იგი მე-19 ადგილს დასჯერდა, რითაც ფინალში გამოსვლის უფლება კი მოიპოვა, მაგრამ ვერც იქ იყოჩაღა — თავისუფალი პროგრამით მოასპარეზეთა შორის ბოლო იყო, ორი დღის შედეგებით (122,88 ქულა) კი მხოლოდ 23-ე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე რუსები ავიდნენ: 1. ელიზავეტა ტუკტამიშევა (210,40), 2. ელენა რადიონოვა (209,54), 3. ანა პოგორილაია (191,81). წყვილთა პაექრობაში ასევე სამივე ჯილდო ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ერგოთ: 1. იუკო კავაგუტი, ალექსანდრ სმირნოვი, 2. ქსენია სტოლბოვა, ფიოდორ კლიმოვი, 3. ევგენია ტარასოვა, ვლადიმირ მოროზოვი.

მოციგურავეთა 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი 23-29 მაისს შანხაიში (ჩინეთი) გაიმართება.

მარინე მახარაძე

სურათზე: ელენე გედევანიშვილი ასპარეზობისას.

◎ რაგბი

„ყოჩები“ ქუთაისში შეაჩერეს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში ბოლნისის „ყოჩებმა“ ზედიზედ 11 შეხვედრა მოიგო და ერთპიროვნულად მეწინავეობდა. ლიდერები გამარჯვების წყურვილით გავიდნენ მოედანზე ქუთაისშიც, სადაც მე-12 ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ადგილობრივ „აიასა“ და „ყოჩებს“ შორის. დაძაბული ორთაბრძოლის პირველი წუთები სტუმრების უპირატესობით წარიმართა: რონისპირელები ორჯერ დაჯარიმდნენ და ბოლნისელმა სოხაძემ ზუსტად გამოიყენა ისინი — 6:0. მერე მახარაშვილმა იყოჩაღა — ლელო გაიტანა და სტუმრები 11:0 დაწინაურდნენ. წაგების საფრთხე რომ იგრძნეს, შესვენებამდე „აიას“ მორაგბეები გამოფხიზლდნენ და ანგარიშში სხვაობა ქულამდე შეამცირეს — 10:11. მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა უფრო ნათელი გახდა და „აიამ“ ლიდერს პირველი მარცხი აგემა — 21:11.

ტურის დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა: „არმაზი“ — „არმია“ 18:18, „ხარები“ — „ლელო“ 13:27, „ჯიქი“ — „ლოკომოტივი“ 9:22, „ბათუმი“ — „თიბიეს“ 43:3.

ლექსო ცინცაძე

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ყოჩები“	12	10	1	1	+113	44
„ბათუმი“	12	7	1	4	+70	35
„ლელო“	12	7	2	3	+72	34
„ხარები“	12	6	2	4	+34	30
„ლოკომ“.	12	5	1	6	+16	28
„აია“	12	6	0	6	+7	28
„არმაზი“	12	5	1	6	-28	24
„არმია“	12	4	1	7	-66	21
„ჯიქი“	12	4	1	7	-30	20
„თიბიეს“	12	1	0	11	-188	7

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგით

წინა **თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ სათებერვლოდ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალებს 2675 პუნქტით ისევ უნგრელი იუდით პოლგარი უდგას სათავეში, არადა, მადიარი ქალბატონი აქტიურ სპორტს შარშან ჩამოშორდა. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2672), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2581), ქართველ მოჭადრაკე ქალთა ლიდერი ნანა ძაგნიძე (2570), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2547), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2543), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2530), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2529), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2528).**

ჩვენებურთაგან, ძაგნიძის გარდა, ასეულში, ასევე, შედიან: 13. ბელა ხოტენაშვილი (2520), 28. ნინო ბაციაშვილი (2475), 29. ლელა ჯავახიშვილი (2475), 32. სალომე მელია (2468), 37. ნინო ხურციძე (2457), 90. მერი არაბიძე (2374), 95. სოფიკო გურამიშვილი (2367), 98. მაია ლომინეიშვილი (2364).

ვაჟები. მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2865), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2811), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2810), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2800), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2797), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2797), სოუ ვესლი (აშშ, 2788), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2783), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2777), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2776). ამას წინათ ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეს დიდ საერთაშორისო წრიულ ტურნირში განცდილი მარცხის (ბოლო - მეთოთხმეტე ადგილი) შემდეგ ბაადურ ჯობავა 2695 პუნქტით 48-ე ადგილამდე დაქვეითდა. პირველ ასეულში სხვა ქართველ ვაჟთაგან არავინაა.

გივი გაგუა

◎ ტაბლო

ხელბურთი.

ვაჟები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. ყატარი — საფრანგეთი 22:25. მატჩი III ადგილისთვის. პოლონეთი — ესპანეთი 29:28 (ძირითადი დრო 24:24).

ჩოგბურთი.

ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალური შეხვედრები. ქალები. ს. უილიამსი (აშშ) — მ. შარაპოვა (რუსეთი 2:0. კაცები. ნ. ჯოკოვიჩი (სერბეთი) — ე. მიურეი (დიდი ბრიტანეთი) 3:1.

ფეხბურთი.

ესპანეთი. „რეალი“ — „სოსიედადი“ 4:1, „ბარსელონა“ — „ვილიარეალი“ 3:2, „ეიბარი“ — „ატლეტიკო“ 1:3, „სევილია“ — „ესპანიოლი“ 3:2, „ალმერია“ — „ხეტაფე“ 1:0.

იტალია. „უდინეზე“ — „იუვენტუსი“ 0:0, „მილანი“ — „პარმა“ 3:1, „რომა“ — „ემპოლი“ 1:1, „სასუოლო“ — „ინტერი“ 3:1, „კიევო“ — „ნაპოლი“ 1:2.

ინგლისი. „ჩელსი“ — „სიტი“ 1:1, „არსენალი“ — „ასტონ ვილა“ 5:0, „მანჩესტერი“ — „ლესტერი“ 3:0, „საუთჰემპტონი“ — „სუონსი“ 0:1.

გერმანია. „ვოლფსბურგი“ — „ბაიერნი“ 4:1, „ლევერკუზენი“ — „ბორუსია“ 0:0, „ვერდერი“ — „ჰერტა“ 2:0, „აუგსბურგი“ — „ჰოფენჰაიმი“ 3:1.

აზიის ჩემპიონატი. ფინალი. ავსტრალია — სამხრეთ კორეა 2:1 (დამატებით დროში).

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სტეკელენბურგის იმედგაცრუებული ცოლი

ჰოლანდიელი გოლკიპერის მარტინ სტეკელენბურგის მეუღლე კიმ სტეკელენბურგი თურმე ნამეტანი გულდაწყვეტილია ქმრის ბოლოდროინდელი კარიერული პრობლემებით და ერთ-ერთ ნიდერლანდულ გამოცემასთან საუბარში აცხადებს, რომ ქმრის კარიერისგან ბევრად მეტს ელოდა.

სტეკელენბურგის მეუღლე თავის დროზე ძალიან იყო მოწადინებული, რომ მისი ქმარი სათამაშოდ „რომაში“ დარჩენილიყო, მაგრამ იტალიურმა კლუბმა ჰოლანდიელი მეკარის გასხვისება არჩია, რამაც კიმის გულისწყრომა გამოიწვია.

მარტინ და კიმ სტეკელენბურგებს ერთი შვილი, სემი ჰყავთ. როგორც გოლკიპერის მეუღლე ამბობს, ბავშვს ფეხბურთისადმი მიდრეკილება აქვს და მშობლები სემის დიდ ფეხბურთელად გახდომაზე ოცნებობენ.

როსტომ რაჭველიშვილი

მარცხნიდან: ბორის პაიჭაძე, ილია დათუნაშვილი, ოთარ გაგუა.

ქართული ფეხბურთის მეფე

მას არც ჩემპიონობა ღირსებია და არც თასის მფლობელი გამხდარა. ტიტულები, იცოცხლეთ, ნებისმიერი სპორტსმენის კარიერას ამშვენებს, მაგრამ როცა ლეგენდაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, უმაღლესი ჯილდოები მეორე პლანზე იწევს. მით უმეტეს, მაშინ, როცა უცხოეთში ფეხბურთის კარუზოს გიწოდებენ, ხოლო სამშობლოში — ქართული ფეხბურთის გენერალისიმუსს, თანაც ლექსებს გიძღვნიან — აქაც და იქაც, აგრეთვე ბიუსტებს გიდგამენ.

გეკითხებით, როცა მესხის თანამემამულეს ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად მიგიჩნევენ, რომელი მედალი შეედრება ასეთ აღიარებასა და დაფასებას? დამეთანხმებით, არც ერთი.

მაშ ასე...

ბორის პაიჭაძე დაიბადა 1915 წლის 21 იანვარს (3 თებერვალს) ქუთაისის გუბერნიის ჩოხატაურის რაიონის სოფელ ონჭიკეთში სოლომონ და ოლღა პაიჭაძეების მრავალშვილიან ოჯახში.

თამაშობდა ფოთის საზღვაო ტექნიკუმის გუნდში, ფოთის ნაკრებში, ფოთის გემთმშენებელი ქარხნის გუნდში, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდში, საქართველოს ნაკრებში, ამიერკავკასიის ნაკრებსა და თბილისის „დინამოში“.

სსრკ ჩემპიონატების 190 შეხვედრაში 105 ბურთი გაიტანა, მათ შორის ქვეყნის 1941 წლის შეწყვეტილი ჩემპიონატის 10 მატჩში — 6 გოლი, საკავშირო თასის გათამაშების 40 შეხვედრაში — 25 ბურთი და შვიდ საერთაშორისო მატჩში — 5 გოლი.

გამოჩენილი ბომბარდირის გრიგორი ფედოტოვის სახელობის კლუბის წევრმა ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლისა (1939, 1940 წ.) და ოთხჯერ — ბრინჯაოს მედლები (1936 შემოდგომა, 1946, 1947, 1950 წ.), სამჯერ იყო საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტი (1936, 1937, 1946 წ.).

თბილისის „დინამოს“ კაპიტანი (1941-1946 და 1949-1950 წ.) 1937 წელს მონაწილეობდა ბასკეთან გახმაურებულ მატჩებში, 1938 წელს კი დაასახელეს 55 საუკეთესოს შორის.

თბილისისა და ფოთის საპატიო მოქალაქე დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშისა და პირველი ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენებით (სიკვდილის შემდეგ).

1991 წელს მისი სახელი მიენიჭა დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონს, რომლის დირექტორადაც 1963-1985 წლებში მუშაობდა.

გარდაიცვალა 1990 წლის 9 ოქტომბერს.

* * *

ყველაფერს, რაც მორალისა და ადამიანის მოვალეობის შესახებ ვიცი, ფეხბურთს უნდა ვუმადლოდე.

ალბერ კამიუ.

დიდი მოაზროვნის ეს სტრიქონები გარკვეულწილად მიესადაგება აწ უკვე 100 წლის ბორის პაიჭაძის პიროვნებას, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ისე, კაცმა რომ თქვას, შეუძლებელიცაა ასეთი კორიფეების სრულყოფილი პორტრეტის დახატვა, თუმცა, მოდით, გავითვალისწინოთ თანამედროვეთა და, უპირველესად, მომავალ გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობა და პროფესიონალებს მოვუსმინოთ:

„ბორის პაიჭაძეში, როგორც ფოკუსში, ისეა თავმოყრილი დიდი ფეხბურთელის ყველა საუკეთესო ნიშან-თვისება: დაუცხრომელი ენერგია, რომელიც პირად შეუპოვრობასა და პარტნიორებზე ზემოქმედებაში გამოიხატებოდა; ტექნიკურ საშუალებათა მდიდარი არსენალი, ბურთის დამუშავებისა და ტარების უმაღლესი ოსტატობა, გაბედულება, უზადო სიფაქიზე, თამაშის ღრმად თავისებური სტილი და საკუთარი მოქმედების მკაცრად დაქვემდებარება, ორიგინალურად შერწყმა მთელი გუნდის ტაქტიკასთან, რომლის ჩანაფიქრსაც ხშირად თვითონვე ახორციელებდა მოედანზე. ჩვენ მას ცხოვრებაშიც — საზოგადოებაში, ამხანაგებთან ურთიერთობასა თუ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მეცადინეობისას — ისეთივე თავმდაბალ, პრინციპულ, მტკიცე ნებისყოფისა და უაღრესად გულისხმიერ ადამიანად ვიცნობდით. ბორის პაიჭაძე სპორტით ცოცხლობდა — იმ სპორტით, რომლის განსადიდებლადაც ბევრი რამ გააკეთა პირადად.

ბორის პაიჭაძეები არ მეორდებიან. მათი ყოველი ნაბიჯი ისტორიის კუთვნილებაა. ბორის პაიჭაძის მაგალითზე უნდა აღიზარდონ ტყავის ბურთის შესანიშნავი ოსტატები“.

ლევ კასილი.

„ბორის პაიჭაძე ნაძალადეველთა კერპი გახლდათ. ჩვენი უბნის ქუჩების კედლებზე, მაღაზიების მოგრძო ღობეებზე ყველგან ეწერა მისი სახელი ან ციფრი „9“, რომლითაც ლეგენდარული მოთამაშე გამოდიოდა. თითოეული ჩვენგანისათვის სამაგალითო იყო მისი კაცური კაცობა, მდიდარი იმპროვიზაცია, დრიბლინგი, საფეხბურთო აზროვნება, კორექტული, ტემპერამენტიანი თამაში“.

მიხეილ მესხი.

„მოსკოვის „დინამოსთან“ თამაშობდნენ ქართველი ფეხბურთელები. ბორის პაიჭაძე თავისი განუმეორებელი დრიბლინგით გაუსხლტა მოწინააღმდეგეს, მაგრამ „თამაშგარე“ აღმოჩნდა. მსაჯმა არ შეაჩერა, მაგრამ ბორის პაიჭაძე თავად შეჩერდა და თავი „დაიჯარიმა“. მე ამ რაინდულ საქციელში ზნეკეთილობა დავინახე.

თავის დროზე ბორის პაიჭაძეს „ტყავის ბურთის კარუზო“ უწოდეს. კარუზოზე მე განსაკუთრებული წარმოდგენა მაქვს, მაგრამ არც პელეა კარუზო და არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართველი ბაირონი. ასევე ბორის პაიჭაძე ბორის პაიჭაძეა.

ქრისტიანულად რომ ვთქვათ, ბორის პაიჭაძე სრულქმნილების გზაზე შემდგარი სრულყოფილი სახეა“.

ჯანსულ ჩარკვიანი.

„ბევრია ისეთი, ვინც ცხოვრებას დღენიადაგ სტადიონზე ატარებს, ვინც ყველაფერი იცის ფეხბურთზე, უნახავს ყველა — პელედან მარადონამდე. ასეთებს ხალხი „ფეხბურთის პროფესორად“ ნათლავს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ვისაც ბორის პაიჭაძის თამაში არ უნახავს, მაღალი და სრული საფეხბურთო განათლებით მაინც ვერ დაიკვეხნის. მისი ცოდნის მიღმა დარჩა ფეხბურთის დიდი პლასტი, ურომლისოდაც ამ საოცარი მოვლენა-საჩახაობის სრულად აღქმა შეუძლებელია.

როცა 1950 წელს თბილისში ხმა დაირხა, 35 წლის ბორის პაიჭაძე უკანასკნელ სეზონს ატარებსო, ხალხი ლამის შეიშალა. ამის წარმოდგენა ხომ შეუძლებელი იყო. განა შეიძლება ფეხბურთი პაიჭაძის გარეშე? ან საერთოდ, განა ღირს სტადიონზე სიარული, თუ პაიჭაძეს ველარ ნახავ?“

კოტე მახარაძე.

გეწყება სიცოცხლე მარადი

მოვსაქართველოვდით, მოვედით,
არწივებს მოვგავართ დაჭრილებს!
ტაშით გაცილებდით ყოველთვის,
ახლა კი ტირილით გაცილებთ!..
ისმის განშორების გონგის ხმა,
ცამრგვალი დაგცქერის მოწყენით!..
რამხელა ქართველი მოგვიკვდი, —
რამხელა სახალხო სპორტსმენი!..
არწივებს მოვგავართ დაჭრილებს
ტირის ნაომარი მინდორიც!..
მარადისობაში გაცილებთ
დიდ ბორისს, დიდ ბორისს, დიდ ბორისს!
აქ აღარ გეღირსა ქართული
მთავარი ოცნების ახდომა,
ველარ მოესწარი ჯვარცმული
დედასაქართველოს აღდგომას!
გეწყება სიცოცხლე მარადი,
მარადი სიცოცხლის აფრებს შლი,
შედიხარ მამულის თანამდევ
უკვდავი სულების ნაკრებში!
იქუხებ ყველგან და მარად ჟამს
დიდგორად ქართული ფეხბურთის!
შენ კარი დახშული არა გაქვს, —
შენ მთლიან მსოფლიოს ეკუთვნი!

ზაურ ბოლქვაძე.

* * *

დღეს 16 საათზე მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართება ბორის პაიჭაძის საუკუნოვანი იუბილისადმი მიძღვნილი ოთარ გაგუასა და დემიკო ლოლაძის წიგნის პრეზენტაცია.

მხატვრულ ფილმ „პირველი მერცხლის“ გადაღებისას.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

უკრაინის მთავრობის მრჩეველ ზურაბ ადეიშვილს ინტერპოლი ეძებს

1 თებერვალს, გვიან საღამოს (22.15), უკრაინის ტელეკომპანია „ინტერის“ ანალიტიკური პროგრამა „პოდრობნოსტში“ გადაიცა ვრცელი ვიდეოსიუჟეტი საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრ ზურაბ ადეიშვილის შესახებ.

გთავაზობთ ტექსტურ ვერსიას:

„სკანდალი პოლიტიკური ქვეტექსტით: ამ შაბათ-კვირას მასმედია გაჰყვიროდა, უკრაინის მთავრობაში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ინტერპოლი წითელი ცირკულარით ეძებსო. ჩვენ გადავამოწმეთ — ნამდვილად ასეა: მართლაც გამოჩნდა მრჩევლის როლში. „ზურაბ ადეიშვილი“ — ეს სახელი და გვარი არის უკრაინის ოფიციალურ საიტებზე, სადაც ნათქვამია, რომ იგი კონსულტაციას უწევს და რჩევებს აძლევს უკრაინის მინისტრთა კაბინეტს კო**რუფციასთან ბრძოლის საკითხებში.** ეს გვარ-სახელი არის აგრეთვე „ინტერპოლის“ ოფიციალურ საიტზეც... აი, რა წერია მის შესახებ: **„ბრალი ედება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში პირადი სარგებელის მიღების მიზნით, მსჯავრდებულების მიმართ არაადამიანურ დამოკიდებულებაში, სისხლის სამართლის საქმეთა გაყალბებაში და ა.შ.“**

ვინაა ეს კაცი? სამწუხაროდ, აქ, კიევში, ზურაბ ადეიშვილზე ვერაფერი გავარკვიეთ. იუსტიციის სამინისტროში, რომელსაც ოფიციალური შეკითხვით მივმართეთ, გვითხრეს, რომ „თქვენი შეკითხვა მიღებულია და პასუხზე ვმუშაობთო“. პასუხს ველოდებით და ჯერ არ ჩანს. რადგან კიევში ამ საკითხის ირგვლივ არავინ არაფერს გვეუბნება, დახმარება ჩვენ ქართველ კოლეგებს ვთხოვეთ. და აი, რა გაირკვა:

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ზურაბ ადეიშვილი ჯერ საქართველოს

კადრები უკრაინის ტელეკომპანია „ინტერის“ ვიდეოსიუჟეტიდან ზურაბ ადეიშვილის შესახებ. 2015 წლის პირველი თებერვალი, 22.15, პროგრამა „პოდრობნოსტი“

გენერალურ პროკურორად, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრად მუშაობდა. მის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა: ვინ იყო იგი საქართველოში — ბრწყინვალე რეფორმატორი თუ ნიჭიერი კორუფციონერი?

„ზურაბ ადეიშვილს ეხება საქართველოს პროკურატურაში მოქალაქეთა მიერ შეტანილი ოცი ათასი განცხადებიდან ნახევარზე მეტი. იგი ჩვენთან ელიტარული კორუფციისა და სახელმწიფო რეკეტის ინიციატორი იყო. ზურაბ ადეიშვილის თანხმობით მინიმუმ რამდენიმე ათეული კომპანია დაყაჩაღდა“, — ამბობს „ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი.

„ზურაბ ადეიშვილს ბრალი ედება პატიმრებისადმი არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში... გარდა ამისა, მას ბრალი აქვს წაყენებული მუხლით „დანაშაულის პროვოცირების ორგანიზება და დოკუმენტების გაყალბება“. მასვე ბრალად ედება ბანკ „ქართუს“ გაკოტრება, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება...“, — ამბობს პროკურორი კოკა კაციტაძე.

ბიზნესმენი ვახტანგ რჩეულიშვილი ხშირად ათვალიერებს იმ პროექტების ფოტოსურათებს, რომლებიც, როგორც ჩანს, სამუდამოდ ქაღალდზე დარჩნენ. შორეულ, 2010 წელს, როცა ზურაბ ადეიშვილი იუსტიციის მინისტრად მუშაობდა, ვახტანგ რჩეულიშვილი მსხვილი სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი იყო. თბილისის მერს გიგი უგულავას ზურაბ ადეიშვილმა სამშენებლო კომპანიის წინააღმდეგ მოქმედების „ნება დართო“. თავის გადარჩენა ვახტანგ რჩეულიშვილმა ძლივ-ძლივობით, სასწაულებრივად შეძლო. **„ჩვენ მერს დახმარება ვთხოვეთ აქტივების გაყიდვის საკითხში, მაგრამ უეცრად რეიდერული წესით დაგვაყაჩაღეს. ფაქტობრივად, კომპანია დავკარგეთ: თვითონვე გაყიდეს ჩვენი აქტივები, ფული კი არ მოგვცეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ისინი საბანკო ვალებსაც კი არ იხდიდნენ“,** — ამბობს დაზარალებული ბიზნესმენი ვახტანგ რჩეულიშვილი.

„ზურაბ ადეიშვილისთვის მთავარი ინსტრუმენტი იყო საპროცესო გარიგებების დადება: როცა უწყინარ და უდანაშაულო მოქალაქეს აპატიმრებდნენ, მას თავისუფლების მოსაპოვებლად უზარმაზარი თანხები უნდა გადაეხადა. პარადოქსია: სახელმწიფო ბიუჯეტში უფრო მეტი ფული საპროცესო გარიგებების შედეგად შედიოდა, ვიდრე მიწის რენტისაგან და მის მფლობელობაზე დაწესებული გადასახადებისაგან. იმისგან დამოუკიდებლად, დაარღვია თუ არა კანონი ვინმემ, მას გამოიძახებდნენ და სთხოვდნენ, უარი ეთქვა თავის ბიზნესზე. მათ, ვინც ამ წინადადებას არ ეთანხმებოდა, იმავ წუთს აპატიმრებდნენ და ათასგვარ იარლიყს აწებებდნენ, საქმეებს ასაიდუმლოებდნენ, რომ ისინი არავის ენახა“, — ამბობს სოსო ცისკარიშვილი.

ყველა შემთხვევაში, ექს-ჩინოვნიკი ზურაბ ადეიშვილი თუ სამუდამოდ არა, დიდხანს მაინც ვერ მოახერხებს სამშობლოში დაბრუნებას: მას არამარტო ქართველი სამართალდამცველები ეძებენ, არამედ ინტერპოლიც — თანაც „წითელი ცირკულარით“ 2013 წლის 14 ნოემბრიდან.

ТВ Интер Подробности

ახალი ელდორადო შავი ზღვისპირეთში?

სანამ დასავლეთის ყურადღება უკრაინის პრობლემებზეა მიპყრობილი, აფხაზეთში ათასობით მიგრანტი ჩადის — აქ ჩუმი სამშენებლო ბუმი მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბად ცხოვრობს (ჯერ კიდევ დსთ-ის მიერ 2008 წლამდე გამოცხადებული ემბარგოს გამო), სიტუაცია ისეთია, რომ ეს პატარა არაღიარებული „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა ერთგვარ ელდორადოდაა გადაქცეული.

2011 წლიდან აფხაზეთში რეგისტრირებულია 14 ათასი უცხოელი შრომითი მიგრანტი, მათგან სამუშაო 9 ათასმა მსურველმა მიიღო. ისინი ძირითადად უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის მოქალაქეები არიან (დსთ-ის ქვეყნებიდან აფხაზეთში ჩასვლა უვიზოდაც შეიძლება). აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელის, ეკონომიკური მრჩევლის ბესლან ბარათელიას თქმით, შესაძლოა, უცხოელი მიგრანტები უფრო მეტიც კი იყოს, რადგან აგრარულ სექტორში სეზონური სამუშაოების წარმოებისას რეგისტრირება არ ხდება.

აფხაზეთის ცენტრალური ბანკის მონაცემების თანახმად, აფხაზეთიდან შრომითმა მიგრანტებმა 2013 წელს 2,3 მილიარდი რუბლი გადარიცხეს, ძირითადად, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში — ეს შედარებით უფრო მეტია იმ თანხაზე (1,9 მილიარდი რუბლი), რითაც რუსეთი აფხაზეთს პირდაპირ საბიუჯეტო მხარდაჭერას უწევს (თუმცა, აქვე ვიტყვით, რომ მოსკოვი დამატებით უზრუნველყოფს აფხაზეთის მოსახლეობისათვის პენსიების გაცემას).

აფხაზეთის ხელისუფლება ცდილობს, ფულის გადარიცხვების რაოდენობა შეამციროს, რადგან ასეთი დიდი თანხების გადინება მცირე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. თუმცა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია ამბობს, „სამშენებლო ბუმისთვის იაფი მუშახელის მოდინება აუცილებელია. ჩვენ გვინდა, მიგრანტთა ნაკადი გარკვეულწილად გავაკონტროლოთ“.

რასაკვირველია, აფხაზეთში უმუშევრებიც ბევრია. ოფიციალური შეფასებით, რესპუბლიკაში უმუშევრობის დონე 15%-ს აღწევს, თუმცა, სოფლის რაიონებში ის გაცილებით მეტია, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დასრულების შემდეგ.

ბოლო თვეებში სამთავრობო ფონდების შემცირებამ მშენებლობის ტემპები შეანელა, თუმცა, აშკარაა, რუსეთიდან ახალი თანხების გადმორიცხვა სიტუაციას გააუმჯობესებს. 2014 წლის ნოემბერში რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული მოკავშირეობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე მკვეთრად უნდა გაიზარდოს საპენსიო და სახელფასო ხარჯები. 2015 წლის განმავლობაში მოსალოდნელია დამატებითი რუსული ფინანსური გრანტი 5,5 მილიარდი რუბლის ოდენობით, რომლიდანაც 3,3, მილიარდი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება. ეს 2014 წელთან შედარებით 55%-ით მეტია. დიდი თანხებია გათვალისწინებული ადგილობრივი აფხაზური მარკეტინგული კომპანიების მხარდასაჭერად, ტურიზმის რეკლამირებისათვის.

აშკარაა, რომ აფხაზეთს რუსული დახმარება ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდება და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა შორეული პერსპექტივაა. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში რუსული სუბსიდიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, ადგილობრივი შემოსავლების კი შემცირდება (2013-თან შედარებით, 30%-ით).

ზოგიერთი კრიტიკოსის მტკიცებით, ხშირად მთავარი ის კი არაა, რამდენ ფულს იღებს რესპუბლიკა რუსეთიდან, არამედ ის, თუ სად და როგორ იხარჯება ეს ფული. რუსული მასმედიის მონაცემებით, 2013 წელს რუსეთის კონტროლის (საანგარიშო) პალატის წარმომადგენლის მოხსენებაში ნათქვამია, რომ 2010-2012 წლებში რუსეთიდან მიღებული დახმარების მხოლოდ 53%, ანუ 11 მილიარდი რუბლია დახარჯული ინფრასტრუქტურაში და ის ფულიც ისეთი ობიექტების აგებაში დაიხარჯა, რომელთა მშენებლობა აუცილებელი არ იყო. აფხაზი პარლამენტარების კრიტიკას იწვევს, მაგალითად, სოხუმში მეორე დიდი სტადიონისა და ტყვარჩელში დიდი საცურაო აუზის მშენებლობა, რომლებზეც უამრავი ფული გაიფლანგა.

პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი ბესლან ბარათელია, რომელსაც ზღვისპირა კაფეში ვესაუბრებით, ამბობს, რომ ეკონომიკის დაგეგმვა არასტაბილურობის პირობებში რთული საქმეა. ჩვენს მეზობელ მაგიდაზე ახალგაზრდა უცხოელი წყვილი ზის, რომელსაც სირიიდან ჩამოსული ოფიციანტი ქალი ემსახურება. იგი უცხოელებს აფხაზურ ღვინოს სთავაზობს, რომლის ექსპორტი რუსეთში მიმდინარე წელს მოიმატებს. კაფეს ახლოს პნევმობურღის ხმა ისმის— რესტორნის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. რამდენიმე ათეული მეტრის იქით კი, ზღვასთან ახლოს, უზბეკები, ტაჯიკები და მოლდოველები, სხვა უცხოელ მუშებთან ერთად, რუსეთის საელჩოს ახალ შენობას აშენებენ.

Financial Times

მოამზადა სიმონ კილაძემ,
„რეპორტიორის“ ანალიტიკური
სამსახურის ხელმძღვანელმა

დედამიწის ზურგზე

„ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებმა“ სამი ერაყელი სამხედრო სიკვდილით დასაჯეს

ამის დამადასტურებელი ფოტოგრაფიები ქსელში წინა დღით გაჩნდა. მათზე მოჩანს, რომ ნიღბიანმა ბოევიკებმა მაჩეტეთი თავები მოჰკვეთეს ყველა ერაყელს ერთსა და იმავე ადგილზე. „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებამ იკისრა პასუხისმგებლობა სიკვდილით დასჯაზე, მაგრამ ფოტოგრაფიის სინამდვილე ჯერჯერობით დამოუკიდებელ ექსპერტებს არ დაუდასტურებიათ.

* * *

საბავშვო სერიალის „ძლიერი რეინჯერების“ ვარსკვლავმა თანამცხოვრებს ხანჯალი ჩასცა, იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა

პოლიციელებმა დააპატიმრეს რიკარდო მედინა-უმცროსი, იგი შეიძლება ერთი მილიონდოლარანი გირაოთი გაათავისუფლონ. დაღუპული მისი თანამცხოვრები ჯოშუა სატერი აღმოჩნდა. მამაკაცებს შორის მოხდა დავა, რომლის დროსაც მსახიობმა თავისი ოპონენტი ხანჯლით მოკლა.

* * *

CHARLIE HEBDO-ის რედაქცია, რომელმაც ტერორისტების შეტევას გაუძლო, შვებულებაში გავიდა

„ჩვენ თქვენ არ გივიწყებთ და საგაზეთო ჯიხურებში დავბრუნდებით უახლოეს პერიოდში“,— ნათქვამია გამოცემის საიტზე. რამდენ ხანს გაგრძელდება შვებულება, უცნობია. ამ დღეებში ჟურნალის წარმომადგენლები საუბრობდნენ, რომ მორიგი ნომერი გამოვა არაუადრეს 11 თებერვლისა.

* * *

საუდის არაბეთის დამფუძნებლის შვილიშვილმა აამოქმედა საკუთარი ტელეარხი

„ალ არაბის“ სტუდიაში ერთ-ერთი პირველი სტუმარი იყო ბახრეინში ცნობილი ოპოზიციონერი ჰალილ ალ-მარზუკი. ელოდებიან, რომ ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალება კონკურენციას გაუწევს არაბულ სამყაროში რამდენიმე სხვა მაუწყებელს.

განცხადება

2015 წლის 27 მარტს 14:00 საათზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №1) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის (შ-146) საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

● დაბა სტეფანწმინდის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

გიორგი ბუალავა ტელ: 577 641880; E-mail: goga@gamma.ge

რუსუდან ღოლიჯაშვილი ტელ: 599214048; E-mail: rusudani@gmail.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ პოზიცია

ლარი ჯანსაღად იქცევა?!

ეჰ, რა გითხრათ, იმდენი გაუცნობიერებელი რამ ხდება ამ დუნიაზე, რომ მათი განჭვრეტა თავის დროზე ვანგასაც გაუჭირდებოდა. აი, თუნდაც ლარის დღევანდელი საქციელი ავიღოთ, განა ვინმეს შეუძლია, დაბეჯითებით გვითხრას, რა იწვევს მის ასეთ გაუწონასწორებელ ქმედებას? მთავრობაში, მაგალითად, ჰგონიათ, რომ ამაში საგანგაშო არაფერია, რომ ლარი ჯანსაღად იქცევა, ზუსტად ისე იქცევა, როგორც შეეფერება საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესებს. ეს არის ცოცხალი, ჯანსაღი პროცესი და მასში ჩვენი ეროვნული ვალუტა, ჩანჩქერთან მებრძოლი კალმახივით, „თავისუფალი ცურვით“ მიაპობს კრიზისთან შეჭიდებულ ტალღებს.

სულ სხვა სურათს ხატავენ ოპოზიცია, არასამთავრობოები და ცალკეული ექსპერტები, რომელთა მტკიცებით, ლარი კი არ იქცევა ცუდად, არამედ მთავრობა იქცევა უტვინოდ, უნიათოდ და უხერხემლოდ მართავს (თუ ამას მართვას დავარქმევთ) ქვეყანას, რაც იწვევს ეკონომიკურ ვარდნასა და, ამის ადეკვატურად, ლარის კურსის წარამარა გაუფასურებას.

მე პირადად შექმნილ კონტრასტულ ვითარებას პასუხი ჯერ მოვუძებნე და, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ეროვნულ ბანკში დავრეკე.

— გისმენთ, ბატონო, რამ შეგაწუხათ? — გაისმა ყურმილში მამაკაცის თავდაჯერებული ხმა.

— ლართან დაკავშირებით ვრეკავ, ჩემო ბატონო. მინდა გავიგო, ჩვენი ეროვნული ვალუტა ყოველდღიურად რატომ უფასურდება?

— ეგ დოლართან მიმართებით უფასურდება, თორემ...

— თორემ რა, — ვაწყვეტინებ, — გინდათ თქვათ, რომ სხვა ვალუტებთან მიმართებაში ლომივით გამოიყურება?

— რა თქმა უნდა, მხოლოდ დოლარმა დაჯაბნა, თორემ აბა შეხედეთ, ლარმა ბოლო პერიოდში რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, სხვა მეზობელი ქვეყნების ვალუტებს როგორი ბდღვირი ადინა.

— ყოჩაღ, ლარო! — აღმომხდა აღფრთოვანებულს, — არ მეტყვით, ლარს ასეთს რას აჭმევთ?

— ვაჭმევთ კი არა, ვავარჯიშებთ, ბატონო, ყოველდღიურად ვავარჯიშებთ.

— ეგ ბანკში, მაგრამ ბაზარში რატომ არ ავარჯიშებთ?

— ბაზარი სხვა სფეროა, ჩემო ბატონო, ეგ ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდის.

— არც მთავრობისაში?

— ვერ გეტყვით, ამის თაობაზე თავად მთავრობაში დარეკეთ.

ხადურს ეცოდინება, გავიფიქრე და ნომერი ავკრიფე.

— ბატონი მინისტრი არ გახლავთ, — მიპასუხა მდივანმა ქალმა, — უცხოელი სტუმრები უფასო საცივზე დაპატიჟა.

— თუ იცით, ბაზრები მაგის კომპეტენციაშია?

— არა, ბატონო, ხადური ბაზარში საერთოდ არ დადის.

— რატომ ქალბატონო?

— აბა რა უნდა, ეგ ხომ იქ არაფერს ყიდულობს, უბრალოდ, ფასებს შორიდან უთვალთვალებს.

რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი, ხადურის ნაცვლად ბაზარში მე წავსულიყავი.

— რა ღირს ვაშლი? — ვეკითხები სიცივისგან ლოყებაბრაწულ ქალბატონს.

— ბანანი — 2 ლარი, სტარტი — 3 ლარი, ამერიკული — 4 ლარი.

— ბანანი არ მინდა, ვაშლზე გეკითხებით.

— ჰო, ეგ ყვითელი ფერის ვაშლი ბანანია, წითელი — სტარტი, მწვანე — ამერიკული, — მიხსნის გამყიდველი.

— ადრე ხილს უფრო იაფად ვყიდულობდი, ასე რატომ გაძვირდა?

— ხილი კი არ გაძვირდა, ბატონო, ლარი გაიაფდა.

პასუხი დამაჯერებლად მეჩვენა, მაგრამ ეჭვი რომ მთლიანად გამეფანტა, გვერდით მოვაჭრე მამაკაცს ნიორი დავაფასებინე.

— კილოგრამს 5 ლარად აგიწონით, — მომიგო მან.

— ერთ თავს რამდენი უნდა?

— 40-50 თეთრი.

— ქართულ მიწაზე მაინც არის მოწეული? — ვჭოჭმანობ.

— რო გითხრათ კი-მეთქი, დამიჯერებთ? უკვე რამდენი წელიწადია, ნიორი ძირითადად ირანიდან შემოდის.

— მაგიტომ გაძვირდა?

— არა, ბატონო, ლარი გაიაფდა და მაგიტომ.

— ირანშიც, კაცო?

ეტყობა კითხვა არ მოეწონა, რადგან არაფერი მიპასუხა. ყველი აღარ დამიფასებინებია, რადგან მას ფასთან ერთად სისტემატურად მარილსაც უმატებენ და ექიმმა ღორის შაშხთან ერთად მისი მიღება ამიკრძალა.

მალე ბაზარი დავტოვე და საპარიკმახეროში შევუხვიე. თეთრხალათიანი გოგო ჩიკორივით დაბზრიალდა და მელოტი თავი ორ წუთში გამკრიჭა.

— ინებეთ, ქალიშვილო, — გავუწოდე 3 ლარი.

— ხუთი უნდა, ბატონო, — თქვა მორიდებით პარიკმახერმა.

— რა ამბავია? — შევიცხადე მე.

— ლარი გაიაფდა, ნუთუ არ გაგიგიათ?

— გავიგე, გავიგე, — ამოვღერღე უგემურად და 2 ლარი დავამატე.

მივდიოდი შინ და ვფიქრობდი: მე კი გავიგე, რომ ლარი გაიაფდა, ცხოვრება კი გაძვირდა, მაგრამ ნეტა პენსიონერებს თუ გააგებინეს? იჰ, ეგენი ვიდრე სექტემბრის მომატებულ პენსიას არ დაიგემოვნებენ, ვერაფერსაც ვერ მიხვდებიან...

ოტია ჩართოლანი

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული,

ანუ მიუსაფარ აზრთა სტრიპტიზი

● ას წლამდე სიცოცხლე შესაძლებელია, თუ უარს ვიტყვით ყველაფერ იმაზე, რის გულისთვისაც გვინდა ასი წელიწადი სიცოცხლე.

● ასაკის მატებასთან ერთად სამი რამ გვღალატობს: უწინარესად, მეხსიერება, მეორე და მესამე რამ დამავიწყა.

● სუყოველი უბრალო ამოცანა შეიძლება გადაუჭრელი გავხადოთ, თუ ამ ამოცანის გამო ზედიზედ რამდენიმე თათბირს გავმართავთ.

● გამოცდილება — ეს ის სახელია, რომელსაც ადამიანების უმრავლესობა ათას ჩადენილ სისულელეს ანდა გადატანილ უსიამოვნებებს ანიჭებს.

● როს სიყვარული ცივდება, ის ან უნდა შევათბოთ, ანდა მოვისროლოთ. ეს ის პროდუქტი არ არის, რომლის შენახვაც ცივ ადგილას შეიძლება.

● იმისთვის, რომ რაშეში სავსებით დარწმუნებული ვიყოთ, ან ყველაფერი უნდა ვიცოდეთ იმაზე, ან არაფერი.

● ზოგს წიგნები გონებაში უწყვია, ზოგს კი — თაროებზე.

● ყველას ყველაფერს ვერ მისცემ, წართმევით კი, იცოცხლე, წაართმევ.

● ბედნიერ ოჯახში ცოლმა არ იცის, ფული საიდან მოდის, ქმარი კი ვერ ხვდება, სად ქრება.

● ქმრები, რომლებიც მარცხნივ უხვევენ, იშვიათად მიმართავენ მუხრუჭს.

● დანაშაულის უმრავლესობა სასმელის შუშხუნზე მოდის.

● თუ თავში პირქარი გიქრის, ძნელია, რომ გაუძლო და არ წაიქცე.

● სიღარიბეს ზოგი რამ კარგიც ახლავს: ბევრის ხარჯვა არ გიწევს.

● ცოლს თუ ტან-ფეხის მიხედვით აირჩევ, მერე ნულარ ეცდები, რომ დიდი გონიერება მოსთხოვო.

● ის ადამიანები, ვისაც მთების შეძვრა შეუძლია, როგორც წესი, ბარად ცხოვრობენ.

● წარსულში მომავალი უკეთესად გამოიყურებოდა.

● ჯანმრთელობის გაფლანგვისთვის არ იჭერენ, მაგრამ კვეთენ.

● არხეინად ცხოვრება თუ გინდა, ხშირად სხვის დაკრულზე ცეკვა უნდა შეგეძლოს.

● რათა კაცობრიობის მიმართ რწმენა არ დაკარგოთ, ბევრად აჯობებს, რომ საერთოდ საქმე არ დავიჭიროთ კაცობრიობასთან.

● ინტერნეტი სამყაროში შეღებული ფანჯარაა, ხოლო ქუჩისკენ გამავალი დაკეტილი კარია.

● ყოველ ადამიანს აქვს შეცდომის უფლება, გარდა ცოლიანი კაცისა: მან ეს უკვე გამოიყენა.

● ადრე თუ გვიან ბოლოს მაინც გვიან იქნება.

● ცხოვრებაში ყოველთვის ვიღაცის მხარეს ვიჭერთ. გონიერი ყოველთვის თავის მხარესაა...

● ადამი იმის მერე გახდა ადამიანი, რაც ევა გამოჩნდა. მანამდე ის კაცობრიობა იყო.

● რათა ადამიანები ჩვენი სიბრძნით გავაკვირვოთ, საჭიროა აუდიტორიის შერჩევა.

● წესიერი ადამიანები ქველმოქმედებას არ ეწევიან: არც რამ ცოდვა აქვთ ჩადენილი და არც კიდევ ფული აქვთ.

● ვაი ქკუისგან კი არა, უქკუობისგან არის.

● სინდისს თუ დათესავ, ძალაუფლებას მოიმკი.

● გედის სიმღერასაც კი ფონოგრამით მღეროდა.

● ჯენტლმენი ყოველთვის დაგითმობთ თავის ადგილს, რათა უკეთეს ადგილას გადაჯდეს.

● ჯენტლმენს ყოველთვის უჭირს იმის ცქერა, ქალი ტვირთს რასმე რომ მიათრევს, და ეგრევე თვალს არიდებს.

● ჯენტლმენი არასოდეს არ ეკითხება ქალს წლოვანებას, მუდამ შვილების ასაკს ეკითხება.

● ერთია, თუ ქალი სილამაზის სალონში თავად წავიდა, ხოლო სულ სხვაა, როცა იმას იქ ჯენტლმენი აგზავნის.

● რაც უფრო მეტია წყალი, მით უფრო ღრმაა ნაწარმოები.

● მუზა და იმისი შემოქმედება გვერდიგვერდაც არა წვანან.

● ცხოვრებას ჩამორჩა... და უკან წავიდა.

● განსაწმენდელში?.. აბანოში ხომ არ აჯობებდა?

● როცა ფული არა გაქვს, არც დაგეხარჯება.

● ფრაკიც და სმოკინგიც სპეცტანსაცმელია.

● ლამაზი ქალები ახლოდან ხან არც ისე საშინელები არიან...

● წამალი უქეიფობის ნიშანია.

● რაც უფრო მაღალი ხარ, უფრო დაბლა უნდა დაიხარო.

● ჰიპერბოლა მხატვრული ხერხია თავმომწონეობის ჟამს.

შეკრიბა და გაასტრიპტიზა
გურამ წიკლაურმა.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)
კრედიტის/სესხის # IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის # P130413
დავალების სახელწოდება: „ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS) სტრატეგიის განვითარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნისათვის“.
კონტრაქტის/ RFP No: EWHIP-4/CS/CQS-03
საიდენტიფიკაციო # EWHIP-4 PP, კომპონენტი 2B, პუნქტი No.11

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS) სტრატეგიის განვითარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნისათვის“.**

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

(i) განახორციელოს საჭიროებების კვლევა;
(ii) „ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS)“ სტრატეგიის განვითარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
(iii) ტექნიკური დავალების მომზადება და დეტალური ტექნიკური და პროექტის სპეციფიკაციების მომზადება შერჩეული პრიორიტეტული საქმიანობისათვის.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა ფარავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: გამოცდილება დავალების შესაბამის აქტივობებში, ძირითადი პერსონალის რესურსი და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს ძირითადი პერსონალი მოკლე ბიოგრაფიებს რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისIBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს“ კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალი კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებაში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებმა შეიძლება შექმნან გაერთიანება (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღების გაერთიანებების ფორმებია ან ერთობლივი საწარმო ან ქვე-კონსულტანტობა და ინტერესის გამოხატვა მკაფიოდ უნდა ასახავდეს გაერთიანების ბუნებას) თავიანთი კვალიფიკაციის გასაძლიერებლად. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასებისას. დავალების შესაბამისი პროექტების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას ფორმა №1-ის სახით, რომელიც ატვირთულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge, შემდეგ მისამართზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტებმა უნდა შეზღუდონ თავიანთი ინტერესის გამოხატვა 20 გვერდამდე. კომპანიის ბროშურები შეიძლება წარმოდგენილი იქნას დანართად და ისინი არ ჩაითვლება 20 გვერდის ლიმიტში.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

კონსულტანტს უნდა ჰქონდეს გამოცდილება ITS სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება/შემუშავებაში და ITS აქტივობებისთვის დეტალური ტექნიკური და საპროექტო სპეციფიკაციების მომზადებაში.

კონსულტანტს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება ITS-ში და მისი აპარატურის კომპონენტებთან სამუშაო გამოცდილება, რაც მოიცავს VMS, WIM, DMS, FAST, და RWIS-ს. ადგილობრივი საავტომობილო მოძრაობის სისტემის და მანქანის მართვის ადგილობრივი თავისებურებების ცოდნა და საქართველოს გარემოსდაცვითი და ინსტიტუციონალური საკითხების ცოდნა იქნება უპირატესობა. კონსულტანტი(ები) უნდა იყოს(იყვნენ) დამოუკიდებელი კომპანია(ები) რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი ან არაპირდაპირი (ფინანსური ან სხვაგვარი) კავშირი IთშI პროდუქციის მწარმოებელთან/გამყიდველთან და თავიდანვე უნდა განაცხადონ ნებისმიერი ისეთი ასოცირების შესახებ, რამაც შეიძლება კვლევის შედეგებზე იმოქმედოს.

მოკლე სიის კრიტერიუმები:

- ზოგადი გამოცდილება ITS-ში;
- გამოცდილება მსგავს დავალებებში (ITS სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება/შემუშავება);

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა და თანდართული ზემოთ მოცემული ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 24 თებერვლის 16:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 370508 დამ. 348
ფაქსი: +995 322 313034
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)
Credit/Loan No. IDA 5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Development of an Intelligent Transportation System (ITS) Strategy and Action Plan for East-West Highway Corridor
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-03
Reference No. EWHIP-4 PP, Component 2B, Item No.11

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Forth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Consultants) to express their interest in providing the following services: **"Development of an Intelligent Transportation System (ITS) Strategy and Action Plan for East-West Highway Corridor".**

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

(i) Carry out a needs assessment;
(ii) Develop an ITS strategy and Action plan;
(iii) Prepare Terms of Reference and detailed technical and design specifications for a selected priority activities.

The estimated duration of assignment is 4 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:

The Consultant must have experience in preparation/development of an ITS strategy and Action Plan and preparation of detailed technical and design specifications for ITS activities.

The Consultants must have practical experiences in ITS applications, and working knowledge of hardware components that include VMS, WIM, DMS, FAST, and RWIS. Knowledge of local traffic system and driving characteristics in Georgia, and an understanding of the environmental and institutional issues will be an advantage. The Consultant(s) must be an independent firm(s) that has no direct or indirect affiliations (financial or otherwise) with an ITS product manufacturer/vendor, and must disclose any associations that may affect the impartiality of the study outcome.

Shortlisting Criteria:

- General experience in ITS;
- Experience in similar assignments (i.e. preparation/development of an ITS strategy and Action Plan);

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **February 24, 2015, 16:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 348
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

სულთათანა

თამაზ ავდალიანი

ფრაქაცია „ქართული ოცნება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **თამაზ ავდალიანი**.

თამაზ ავდალიანის განვლილი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. გარდა იმისა, რომ ბატონი თამაზი გახლდათ კვალიფიციური იურისტი, იგი ასევე დაუზოგავად ემსახურებოდა ქართველი და იეზიდი ხალხების უფრო მეტად დაახლოების საქმეს. როგორც გამოცდილ სპეციალისტს, მას არასდროს არ დაუხევია უკან ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისას, რაზეც მოწმობს ის დიდი ავტორიტეტი, რითაც თამაზ ავდალიანი სარგებლობდა. ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე არ იყო იოლი პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში ყოფნა და ნდობის შენარჩუნება. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც საჭირო იყო.

თამაზ ავდალიანს არასდროს არ დავიწყებია თავისი წარმომავლობა და იეზიდების პრობლემები, მაგრამ ასევე არ დავიწყებია, რომ ამ ქვეყნის მოქალაქე გახლდათ და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა საქართველოს აღშენებლობას. ასეთი ახსოვთ იგი საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში, სადაც 1991-2006 წლებში მუშაობდა; ასეთი ახსოვთ საქართველოს პარლამენტში. ქართული ენის ზედმიწევნით კარგად მცოდნე ყოველთვის მტკიცედ იცავდა საკუთარ პოზიციას და არასდროს არ აძლევდა ოპონენტებს იმის საშუალებას, რომ მისი სიტყვისთვის ყურადღება არ მიექციათ; იყო პრინციპული და ამავდროულად თავმდაბალი, კარგი მეგობარი და საიმედო პარტნიორი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე.

თამაზ ავდალიანის სახელი დიდხანს დარჩება როგორც ჩვენი ფრაქციის, ისე პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხსოვნაში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც თავად გახლდათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელით მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს პარლამენტის წევრის, საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წარმომადგენლის

თამაზ ავდალიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის დედის, ქალბატონ

ციალა ღულუნიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მის ახლობლებს.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო აკადემიის პირველი პრეზიდენტის, ბატონ ივერი ფრანგიშვილის მეუღლე, დამსახურებული ენერგეტიკოსი, სათნო და ღირსეული ქალბატონი

ციალა ღულუნიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, სენატი, ადმინისტრაცია, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები გამოხატავენ ღრმა მწუხარებას რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის დედის, ქალბატონ

ციალა ღულუნიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უნივერსიტეტის რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის დედის

ციალა ღულუნიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტის“ თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ არჩილ ფრანგიშვილს დედის, ქალბატონ

ციალა ღულუნიშვილის

გარდაცვალების გამო.

გ.აბდუშელიშვილი, ზ.გასიტაშვილი, ი.გორგიძე, დ.გორგიძე, რ.სტურუა, ა.ჩხეიძე, გ.ჯავახაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონ

ციალა ღულუნიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საშენ მასალათა მრეწველობის დარგის უხუცესი წევრი, ცნობილი კერამიკოსი, ინსტიტუტის სექტორის გამგე

გურამ გვერდწითელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ქეთევანი, მამა გურამი, შვილები ქეთი, გუგა, დები ნინო, ეკა, სიძეები კახა ცაბაძე, ნიკა ჩხაიძე, დისწულები თათა, ლევან ცაბაძეები, გიორგი, მარინა, ნინო ჩხაიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კონსტანტინე (კოტე) ფერაძე

პანაშვიდი 3, 4 II, 17 სთ. დაკრძალვა 5 II, 14 სთ. მისამართი: იოსებიძის ქუჩა №74.

საქმე №1/115-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

28 იანვარი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI“

საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით ანასაშვილი, დავით ბუღაძე.

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 7 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI“-ს სარჩელი მოპასუხის დავით ანასაშვილისა და დავით ბუღაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 5 აპრილს შპს „KAPI“-სა და დავით ანასაშვილს შორის დაიდო №1.16.92 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI“-მ მსესხებელზე გასცა 6100 ლარის ოდენობით სესხი, ყოველთვიური 6 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 04.05.2013წელი.

სესხის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლებით დაიტვირთა დავით ანასაშვილის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს, მას დაერიცხება პირგასამტეხლო ძირი თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2013 წლის 5 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა“ და დავით ბუღაძეს შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მან აიღო სოლიდარული პასუხისმგებლობა შპს „ნოვა კრედიტსა“ და დავით ანასაშვილს შორის დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებაზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით ბუღაძეს სამჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ რეგისტრაციის ადგილის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფება და ვერც მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით ბუღაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით ბუღაძე როგორც ფაქტობრივ საცხოვრებელ ისე მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე დავით ბუღაძეს (პირადი №01008014124) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. დავით ბუღაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე დავით ბუღაძესა და დავით ანასაშვილს (პირადი №38001000420) ეცნობოს, რომ 2015 წლის 20 თებერვალს 12:00 საათზე შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „KAPI“-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით დავით ბუღაძისა და დავით ანასაშვილის მიმართ.

5. დავით ბუღაძესა და დავით ანასაშვილს ეცნობოს, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულნი არიან, არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

ეპიტაფია

კვლავაც ერთად იქნებიან

მაყვალა სტურუას ხსოვნას

ქართულ სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა მისი დიდებული და უთვალსაჩინოესი წევრი – გარდაიცვალა ცნობილი ექიმი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **მაყვალა ანტონის ასული სტურუა**.

1959 წლიდან 55 წლის განმავლობაში ერთგულად, უანგაროდ ემსახურებოდა ბავშვთა ჯანმრთელობას. დღიდან დაარსებისა, მოღვაწეობდა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო შემდგომში ამავე ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

მაყვალა სტურუა ათეული წლების მანძილზე წარმატებით, ნაყოფიერად მუშაობდა პედიატრიისა და კარდიოლოგიის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სისხლის მიმოქცევის ასაკობრივი თავისებურებანი ბავშვებში ნორმისა და პათოლოგიის დროს, საქართველოს სხვადასხვა კლიმატოგეოგრაფიულ რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ მან პირველმა შეისწავლა ჯანმრთელ ბავშვთა გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა ბარის, მთის და ზღვისპირეთის პირობებში და გამოავლინა ჰემოდინამიკური არაერთგვაროვნება. მანვე განსაზღვრა ბავშვებში ჯანმრთელობის კრიტერიუმების სიმპტომოკომპლექსი, რაც საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის ფარული ნიშნები – პრემორბიდი და გულის იშემიური და ჰიპერტონიული დაავადების განვითარების რისკის ფაქტორები. ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო მის მიერ გამოქვეყნებულ 87 სამეცნიერო ნაშრომსა და სამ მონოგრაფიას.

იგი მუდამ ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას; იყო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში თავმჯდომარეობდა სახელმწიფო გამოცდებს. კოლეგებს, თანამშრომლებს ეამაყებოდათ მის გვერდით ყოფნა. გამორჩეულმა, ღვთიური მადლით აღბეჭდილმა თვისებებმა საყოველთაო სიყვარული და დიდი ავტორიტეტი მოუპოვა.

ქალბატონი მაყვალას გარეგნულ მშვენიერებას ავსებდა და სრულყოფდა მისი ასეთივე ულამაზესი სული, მდიდარი შინაგანი კულტურა, რაც ასე ესადაგებოდა მის მომხიბლავ, განუმეორებელ პიროვნებას. ბუნებით უსაზღვროდ კეთილი, ყოველთვის ცდილობდა, გარშემო მყოფთათვის შვება და სიხარული ეგრძნობინებინა.

იგი გახლდათ მეუღლე გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მწერლის, პუბლიცისტისა და პოლიტოლოგის დევი სტურუასი. მათნაირი სამაგალითო, შეხმატკბილებული წყვილი ცოტა თუ მოიძებნებოდა საქართველოში. სამშობლოს აღუზარდეს ორი ღირსეული ვაჟკაცი – გიორგი და სოსო სტურუები. სოსო, სამწუხაროდ, ნაადრევად დაიღუპა. გიორგი, არაერთი უცხოური ენის ჩინებული მცოდნე, მეტად განათლებული და ნიჭიერი დიპლომატი, საამაყო მშობლების კვალს მიჰყვება და მათსავით თავდაუზოგავად ემსახურება ჩვენს ქვეყანას.

ალბათ, განგების ნებით მოხდა, რომ დევი და მაყვალა სტურუები ერთდროულად მოევლინნენ სამზეოს და დაბადების დღესაც ერთად აღნიშნავდნენ. ისიც სიმბოლურად ჩანს, რომ ქალბატონი მაყვალა ძვირფასი თანამეცხედრის დაკრძალვის დღეს, 1 თებერვალს, აღესრულა და ამიერიდან სამუდამო განსასვენებელიც ერთად ექნებათ. ღრმად გვწამს – მათი ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება საქართველოში.

საქართველოს პედიატრიის ინსტიტუტი,
ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი;
საქართველოს პედიატრთა ასოციაცია;
საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემია;
საქართველოს ეროვნული აკადემია.

შვილი გიორგი სტურუა, და მარიკა ილურიძე, მაზლი მელორ სტურუა, ვიქტორია სირაძე, შვილიშვილები დევი, ანა, რძლები ირინა, ნატა, ელენე, დისშვილები ანა, ილია თევზაძეები ოჯახებით, შვილთაშვილი ნანა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაყვალა სტურუა.

პანაშვიდი 3, 4 II, დაკრძალვა 5 II, 14 სთ. მის: ბარნოვის ქ. 67, II სადარბაზო.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

გახსენება

მე თქვენი ვალი მაქვს...



ჩემი ასაკის კაცზე იტყვიან ხოლმე, ამას ტყუილიც დაეჯერებაო... 75-ს კარგა ხანია, გადავაბიჯე და ამიტომ ყოველ დილით, თვალს რომ გავახელ და მით უმეტეს, მზიან ცას გავხედავ, მადლობას ვწირავ უფალს იმისთვის, რომ კიდევ ერთი დღე მაჩუქა. მადლობას ვეუბნები იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე გამაჩინა და ასეთი დედ-მამა მყავდა, კიდევ იმისთვის, რომ ჩემი სატელევიზიო საქმიანობის გამო, ბევრ ძალიან კარგ ადამიანთან მქონდა შეხება, ურთიერთობა და მეგობრობა. იმათთან, ვინც მუდმივად მედგა მხარში და ცხოვრების მძიმე წუთებში, მარტო არ დავუტოვებივარ. ერთ-ერთი ღირსეული კაცი მათ შორის ჩემი ელგუჯა ლებანიძე იყო. შესანიშნავი მოქალაქე, ჟურნალისტი, მწერალი, პოეტი, მეოჯახე, დიდებული მეუღლისა და შვილების პატრონი.

ადამიანი ისეა მოწყობილი, თუ კი ნორმალურია და სიკეთის დამნახავი, სხვის სიკეთეს არ ივიწყებს. ბევრჯერ ყოფილა, ტელევიზიაში საქმიანობის ძალიან მძიმე წლებში, როცა დაუმსახურებლად მიტყლაშუნებდნენ მარილწყალში ამოვლებულ მათრახს, უამრავი გამოჩენილი მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, კოლეგა დამიდგა გვერდით. მათ შორის, ვიმეორებ ერთ-ერთი გამორჩეული გულშემატკივარი ელგუჯა ლებანიძე იყო, რომელმაც არაერთი საყურადღებო წერილი უძღვნა ჩემს საქმიანობას. მიხაროდა, რომ ასეთი სახელხმიანი ჟურნალისტი მამხნევებდა და მიწონებდა საქმიანობას. და ახლა, მისი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, მივმართავ მის დიდებულ მეუღლეს, ჩემს კოლეგას ლამარა ესართიას, მის ნიჭიერ შვილებს – შორენასა და მირიანს.

...შვილებო! – მე მამათქვენის ვალი მაქვს და უფალს ვთხოვ, ისე არ წამიყვანოს ამქვეყნიდან, რომ ეს ვალი არ გადავიხადო!

მერაბ ბერაძე

ჩვენო ძმაო და დიდო მოკალმევ!

დღეს შენი აღსრულებიდან მეორმოცე დღეა... გიხსენებთ ნათელში მყოფს, ადამიანს, რომელსაც საოცარი სიფაქიზით გიყვარდა შენი მშობლიური მამული, ენა, სარწმუნოება, შენ ყველას აძლევდი მაგალითს იმისას, თუ რა სისადავით, ერთგულებით, სათნოებით შეიძლება იცხოვრო სათაყვანებელ საქართველოში, როგორ უნდა უპატრონო ყველა დიდ საგანძურს.

ელგუჯა ლებანიძე ყველგან სანიმუშო გახლდათ თავისი ერუდიციით, პრინციპულობით, პატიოსნებით. სიამოვნებით ვიხსენებთ შენთან ნათესაურ, მეგობრულ, შემოქმედებით-კოლეგიალურ, წმინდა ადამიანურ ურთიერთობებს.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ძმაო და მეგობარო, სიკეთის მთესველო კაცო... „ღმერთმა გიდღეგრძელოს გვარია“...

შენი ნათესავები და მეგობრები
გიორგი ავსაჯანიშვილი, გიორგი წერეთელი.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ბარმენო**, ყველას დაუსხით ვისკი ჩემს ხარჯზე, ბიჭი შემეძინა და უნდა აღვნიშნო!
— ამბობს ბარში შესული მამაკაცი.
— გილოცავთ. რამდენი კილოა?
— 4 კილო.
— სიმაღლე?
— 53 სანტიმეტრი.
— თქვენი ცოლი როგორ გრძნობს თავს?
— ცოლმა ჯერ არ იცის.

* * *

— **ძვირფასო**, გახსოვს შარშან ზაფხულში სათევზაოდ რომ დადიოდი?
— მახსოვს. მერე რა?
— რა და, შენმა ქარიყლაპიამ დარეკა, ორსულად ვარო...

* * *

— **ბიჭებო**, ტყუილად ელოდებით, გოგოები არ მოვლენ, რადგან ვუთხარი, რომ თქვენ პედერასტები ხართ.
— კარგი ერთი, მაინც არ დაგიჯერებენ...
— არა, დამიჯერეს, ფოტოები ვაჩვენე...

* * *

ცოლი კარგა ხანს ეჭვობდა, რომ ქმარი ღალატობდა. ერთხელაც ქმარი სახლში გვიან დაბრუნდა, ყელზე პომადის ნაკვალევი ემჩნეოდა...
— პიერ, მე ვერასოდეს შევურიგდები ორკესტრში მეორე ვიოლინოს როლს!
— მეორე ვიოლინოსი? მადლობა თქვი, რომ საერთოდ უკრავ ორკესტრში!

* * *

— **მეჩვენება**, რომ შერეკილი ხარ.
— არა!
— რა არა.
— არ გეჩვენება.

* * *

— **რატომ** გაქვს ასეთი ჩამჟავებული სახე?
— იმიტომ, რომ ტკბილი არ მეჭმევა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24